ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 17 იანვარი, 2022 №11 (8789) ფასი: 60 თეთრი

## ჯერ მოკლა, შემდეგ კი ბინაში გაზი გაუშვა

ნონა ჭაბაშვილის მკვლელობისთვის ლაგოდეხში მისი ყოფილი ქმარი გიორგი ბარბაქაძე დააკავეს გვ.5



# „ოცნება“ ახალ პარტიას ქმნის?!




ლადო სადღობელაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი ღარიბაშვილის მხარეს არის და მის გუნდში მოიაზრება“

გვ.4



დავით ბერძენიშვილი: „გვიანდელი შევარდნაძეც კი უფრო მაღალი კლასი იყო, ვიდრე ივანიშვილია“

გვ.2



## „ნაციონალები შიგნით პერიოდულად ძიძგილაობენ“

„ნაცმოძრაობა იმავე ფუნქციას ასრულებს, რომელსაც ასლან აბაშიძის „აღორძინება“ ასრულებდა“

## ზუგდიდის მერიაში ოპოზიცია გამოძიების დაწყებას ითხოვს

გვ.2




გვ.5

## „უსაყვარლესი დანიელი, როგორ წაგიცდა ფეხი, შვილო“

რუსთავში 17 წლის ბიჭი გარდაიცვალა

## სანატორიუმ „ქართლიდან“ დევნილი მამაკაცი გადახტა და გარდაიცვალა

გვ.3

## „ვადამდელი არჩევნების გარდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს“

გვ.3



მურმან დუმბაძე: „ხელისუფლებას ოპოზიციამ სრული ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს“

## რა მიზნები და პრეტენზიები ექნება „ეროვნულ-პატრიოტულ ფრონტს“?

გვ.4

ISSN 1987-9385

5

**თბილისის ბარში გერმანელ ტურისტს 1 ბოთლ ლუდში 950 ლარი გადაახდევინეს**

4

**თეონა ქალიძე: „სოციალურად დაუცველთა რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია“**

5

**მაღალჩინოსანს, რომელმაც ჯარისკაცებს ჯაგრისით საპირფარეშო ახეხვინა, 6 წელი მიესაჯა**

6

**ტეხასის სინაგოგიდან მძევლები უვნებლად გაათავისუფლეს**

# „ნაციონალები შიგნით პერიოდულად ძიძგილაობენ“

## დავით ბერძენიშვილი: „გვიანდელი შევარდნაძეც კი უფრო მაღალი კლასი იყო, ვიდრე ივანიშვილია“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა როლი ჰქონდა ივანიშვილს გადაწყვეტილების მიღებაში, რომ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე ციხეში არ გაეშვათ? რა როლს აკისრებს ნაციონალურ მოძრაობას მიღმა დარჩენილ პარტიებს? რა როლი აქვს სააკაშვილს პატარა პარტიებზე? როგორ უნდა გავიგოთ ენმ-ში მიმდინარე პროცესები? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი საუბრობს.**



***— როგორ აფასებთ იმას, რაც დღეს ხდება ქართულ პოლიტიკურ ველზე. ბოლო ხმაურიან გადაწყვეტილებას ველოდით და ბევრს ეგონა, რომ „ლელოს“ ლიდერებს ციხეში გაუშვებდნენ. ეს ივანიშვილის გადაწყვეტილება იყო, რომ ამჯერად ასე არ ჩათვალა საჭიროდ?***

— რა თქმა უნდა, ნებისმიერი გადაწყვეტილება პოლიტიკურია და პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ასეთ საქმეებზე იღებს ბიძინა ივანიშვილი. ეს მოსამართლის გადაწყვეტილება არ არის. უფრო მოსალოდნელი იყო ასეთი გადაწყვეტილება და არა მათი ციხეში გაშვება, თუმცა გამორიცხული არაფერი არ იყო.

***— რაციონალურად თუ შევხედავდით, ასე იყო, მაგრამ „ოცნებისგან“, როგორც წესი, ველით ხოლმე რადიკალურ გადაწყვეტილებებს.***

— ბიძინა ივანიშვილმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. მან ასე ჩათვალა, რომ ამ ვითარებაში მეტისმეტი იქნებოდა ოპოზიციური, არანაცური ლიდერების დაპატიმრება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში რამე შერბილდა ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის მიმართ დამოკიდებულებაში, თუმცა მაინც ერიდებიან ადამიანების პოლიტიკური მოტივებით დაპატიმრებას, თუ პირდაპირ წინა ხელისუფლებასთან არ არიან კავშირში.

***— გასაგებია, რომ ამით არ დამთავრდება რეპრესიები, მაგრამ, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაღაც გარკვეულ პაუზას იღებენ ამ მიმართულებით, მათ შორის ნაცმოძრაობის მიმართულებითაც?***

— არ ვიცი. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. საერთოდ, ინიციატივა ხელში უნდა აიღოს ქართულმა ოპოზიციამ, განსაკუთრებით — არანაცური პატარ-პატარა ჯგუფების წარმომადგენლებმა. დღეს საქართველოში სრული სტაგნაციაა, გვიანი შევარდნაძის პერიოდია შევარდნაძის გარეშე. ძალიან გვიანდელი შევარდნაძეც კი ძალიან მაღალი კლასი იყო, ვიდრე ბიძინა ივანიშვილია, შევარდნაძის მმართველობისა და ასლან აბაშიძის ბოლო წლებს თუ გავიხსენებთ... ხელისუფლების კლასი ძალიან დაცემულია. რაც შეეხება ოპოზიციას, გასაგებია, რომ გვაქვს ორპოლუსიანობა. ოპოზიციაში ნაციონალური მოძრაობა ამჟამად იმ ფუნქციას ასრულებს ხელისუფლებისთვის, რომელსაც ასლან აბაშიძის „აღორძინება“ და მისი კოალიცია ასრულებდა. ამიტომ გარღვევაა საჭირო და ეს მოეთხოვებათ და შეუძლიათ არანაციონალური ოპოზიციის წარმომადგენლებს.

### „ნაცმოძრაობა იმავე ფუნქციას ასრულებს, რომელსაც ასლან აბაშიძის „აღორძინება“ ასრულებდა“

***— ხედავთ ამის რესურსს?***

— ამომრჩეველი ამას მოითხოვს. როგორც 2020-ის, ისე 2021 წლების არჩევნებმა დაადასტურა, რომ ამ ქვეყანაში არის არანაკლებ 20%-იანი ნიშა, თბილისში ეს 25%-ც არის, რომელიც სწორედ რომ „არანაციონალური“ მიმართულების ოპოზიციის მხარდამჭერია. მინიმუმ ყოველი მეხუთე ამომრჩეველი ელოდება საკუთარ პოლიტიკურ ორიენტირს და არ გვყავს ამ ამომრჩევლის შესაბამისი პოლიტიკური ორიენტირი. როდესაც 10-15 პარტია 20%-ის განაწილებისთვის სთავაზობს საკუთარ თავს, ეს ნიშნავს, რომ არავინ არაფერს არ სთავაზობს. ამიტომ არის, რომ 2020 წლის მონაცემებით, 3%-იანი პარტიები გახდნენ 1%-იანები. „ლელო“ გახდა 2%-იანი, სხვები — 1%-იანები. ეს კონფიგურაცია არ არის საკმარისი არანაცური ამომრჩევლისთვის. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პარლამენტში მუშაობა, ფრაქციებში განაწილებული ოპოზიციური ჯგუფების მეტი ურთიერთთანამშრომლობა.

ნაციონალური მოძრაობა თავის საქმეს აკეთებს. ის 30%-ზე მეტს ვერ აიღებს და 20%-ზე ქვემოთ ვერ ჩამოვა. უახლოეს წლებში ეს ვითარება გვექნება.

***— ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებით რატომ შეიცვალეთ ხედვა? საპარლამენტო არჩევნების წინ მას უფრო პოზიტიურ ჭრილში ხედავდით. 2020 წლის ბოიკოტმა ხომ არ გაჩვენათ, რომ ოპოზიციამ შეცდომები დაუშვა?***

— მე მგონია, რომ ამ თვალსაზრისით თანმიმდევრული ვარ. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდეც ხომ ვამბობდი, რომ მარტო მიშა ვერ დაამარცხებდა და მიშას გარეშე ვერ დავამარცხებთ?! ამიტომ ნაციონალური მოძრაობა აუცილებელი კომპონენტია საერთო ოპოზიციური ძალისა და ასევე მიმაჩნდა, რომ მარტო ნაციონალური მოძრაობა არ ეყოფოდა.

რაც შეეხება 2020 წლის 1 ნოემბრიდან დაწყებულ ბოიკოტს, მაშინაც მიმაჩნდა, რომ შეცდომა იყო და მაინცდამაინც არც ვმალავდი ამ პოზიციას, იმის გამო, რომ წამყვანი ლიდერებმა მიიღეს ბოიკოტის გადაწყვეტილება და ნაცმოძრაობას ბოიკოტის გადაწყვეტილება ერთი ალეკო ელისაშვილმა დაასწრო, როდესაც პარტიული გადაწყვეტილება მიიღო. მაშინ დოლი იყო, ვინ ვის დაასწრებდა ბოიკოტის გამოცხადებას. ეს იყო პოლიტიკური და ინტელექტუალური შეცდომაც დიდებისაც და პატარებისაც. ქუჩამ აჩვენა, რომ არ იყო დიდი რესურსი და ამ დროს მეორე ტურებზე უარის თქმა იყო შეცდომა. ამომრჩეველი არ იკლავს თავს ქუჩაში მასობრივი პროტესტით. ამის ადეკვატური რეაგირება ამ პროცესს არც ნაციონალურ მოძრაობაში მოჰყოლია და არც სხვა ოპოზიციურ პარტიებში. 2021 წლის არჩევნებში ეს ვითარება კიდევ უფრო გამოიკვეთა.

ამიტომ, ვინც ნაცმოძრაობის ორბიტაში მონაწილეობდა თვითმმართველობის არჩევნებში, ისინიც ძალიან დაზარალდნენ. ვინც ცალკე მონაწილეობდნენ, ისინი იმდენად უსუსურები და სუსტები იყვნენ, რომ ისინი, ცალკე აღებული, ამომრჩეველმა არ დაინახა.

***— მიშას ჩამოსვლისა და შემდეგ ციხეში ჩასმის ფაქტორმაც დააზარალა პატარა პარტიები და პროცესი?***

— ერთგვარად, მაგრამ ეს არ იყო განმსაზღვრელი საკითხი. მიშას ჩამოსვლამ თუ დააზარალა, დააზარალა ნაცმოძრაობის პოლიტიკურ ორბიტაში მყოფი რამდენიმე ჯგუფი — ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია...

***— „ლელო“?***

— „ლელოც“ დაზარალდა, კი, მაგრამ რაიმე დიდი შედეგი არც ამის გარეშე ექნებოდათ. მიშა სააკაშვილმა რამდენიმე არანაცური პროცენტი გადაქაჩა საკუთარ პარტიაში, მაგრამ რეალურად არ გაუზრდია ოპოზიციური ხმების ჯამი. რაც შეეხება სახელისუფლებო ხმებს, შესაძლოა, რამდენიმე პროცენტის მობილიზაციას ხელი ბუნებრივად შეუწყო სააკაშვილმა. მას სხვა მოლოდინი ჰქონდა, ამბობდა, რომ 2/3 ელოდა მის ჩამოსვლას, სინამდვილეში 1/3 ელოდა და 2/3 სწორედ რომ მისი წინააღმდეგი იყო და არის. 2022 წელი იქნება მცდელობა, რომ ეს 20%-იანი არანაცური ამომრჩეველი იყოს რეალიზებული პოლიტიკური ორიენტირებით. მე ვგულშემატკივრობ ამ პროცესს.

***— ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესები შიდაპარტიულ სტრუქტურულ ცვლილებად უნდა განვიხილოთ თუ ბრძოლად ჯგუფებს შორის, პირობითად მიშისტები და მელიისტები რომ დავარქვათ?***

— ნაცმოძრაობაში მთავარი ორიენტირი მიშაა. ის არის საკადრო ორიენტირიც, მაგრამ არიან მწარე მიშისტებიც და მიშას მიმართ ლოიალურად განწყობილებიც. ენმ-ში ანტიმიშისტები არ არიან. ამ ვითარებაში მათ შორის პერიოდულად არის ხოლმე ასეთი ძიძგილაობა-დისკუსია. მიშა სააკაშვილი ხან ამბობს, პარლამენტში არ შეხვიდეთო, ხან ამბობს, უნდა შეხვიდეთო. ახლა მას კომისიის შექმნის სურვილი აქვს და ამბობს, უნდა შეხვიდეთო. ამიტომ სააკაშვილის პერსონალური ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია მაგ პარტიისთვის, მაგრამ მე ბევრს არ ვფიქრობ ნაცმოძრაობასა და მის მომავალზე, ვიცი, რომ 30%-ზე ზევით ვერ წავა და 20%-ზე ქვემოთ ვერ ჩამოვა. ამიტომ ის იქნება ოპოზიციის მნიშვნელოვანი შემადგენელი — 1.5, ცოტა მეტი ან ნაკლები, მე ვფიქრობ, რაც დრო გავა — უფროდაუფრო ნაკლები, მაგრამ მნიშვნელოვანი შემადგენელი.

***— თავად ამბობენ, უფროდაუფრო ვძლიერდებითო და თქვენ რაზე დაყრდნობით ამბობთ, რომ რაც დრო გავა, უფრო სუსტი იქნება?***

— არა, არ ვამბობ, რომ სუსტი იქნება. 30%-ზე ზევით ვერ ავა. 2016 წლიდან მოყოლებული, 27% აქვს, 30-მდეც კი ავიდა ქვეყნის მასშტაბით 2021-ში, მაგრამ, ყოფილა შემთხვევები, როდესაც თბილისში 22% ჰქონია, მაგალითად, შარშან, საპარლამენტო არჩევნების დროს. ამიტომ ნახევარი მილიონის მიდამოებშია, 500 ათასიდან 600 ათასამდე. რა მოლოდინიც გაუჩინა საზოგადოებას ნაცმოძრაობამ ბოიკოტისა და ქუჩის ტაქტიკით, ამ მოლოდინით მან წარმატებას ვერ მიაღწია. ამიტომ ენმ-ის მიმართ კეთილგანწყობა კი არ იმატებს, არამედ სტაგნაციაშია და ცოტათი იკლებს, თორემ იქნებოდა 100.000-იანი მიტინგები. ახლა მიშამ 200.000-იანი მიტინგი შეუკვეთა.

# ნინო წილოსანი: „ჩემი პირადი პოზიციაა ბადრი ჯაფარიძის პარლამენტში დატოვება“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნინო წილოსანის განცხადებით, ბადრი ჯაფარიძე პარლამენტში „ერთ-ერთი პოზიტიური მოვლენაა“ და მისი პირადი პოზიცია ჯაფარიძისთვის უფლებამოსილების არშეწყვეტა იქნება.

ამის შესახებ წილოსანმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, მიუხედავად საკუთარი პოზიციისა, ის მაინც გუნდის საერთო პოზიციას დაეთანხმება, რომელიც ჯერ ჩამოყალიბებული არ არის.

— კანონმდებლობა და რეგლამენტი მკაფიო ჩანაწერს გვთავაზობს ბადრი ჯაფარიძესთან დაკავშირებით. სესიაზე პარლამენტი იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებს უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ამაზე გუნდში მკაფიო პოზიცია არ გვაქვს დაფიქსირებული.

მე, უბრალოდ, ჩემი გადმოსახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ იმ ოპოზიციურ ველზე, რომელიც ჩვენ პარლამენტში გვყავს, ყველა სხვასთან შედარებით ბადრი ჯაფარიძე ნამდვილად არის ერთ-ერთი პოზიტიური მოვლენა და ჩემი პირადი პოზიცია იქნება მისთვის უფლებამოსილების არშეწყვეტა. თუმცა მეც და ჩემი ნებისმიერი კოლეგაც ვიქნებით ჩვენი ერთიანი გუნდის გადაწყვეტილების ნაწილი, — განაცხადა წილოსანმა.

დეპუტატ ბადრი ჯაფარიძის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, შესაძლოა, მისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი გახდეს.

აღნიშნულ საკითხზე პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი იმსჯელებს.

# ზუგდიდის მერიაში ოპოზიცია გამოძიების დაწყებას ითხოვს

ოპოზიცია ზუგდიდის მერიაში გაფლანგული თანხების გამო გამოძიების დაწყებას ითხოვს.

ნაციონალური მოძრაობა აუდიტის სკანდალური დასკვნის გამო გენერალურ პროკურატურას მიმართავს.

— ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, საიდანაც თანხები ზუგდიდელების კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს, ხმარდება ადგილობრივი მაღალჩინოსნების გამდიდრებას, ყველა ნორმალურ ქვეყანაში პროკურატურამ უნდა დაიწყოს გამოძიება და უნდა დადგეს კონკრეტული თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ვაპირებთ, რომ ამასთან დაკავშირებით მივმართოთ პროკურატურას, რომ დაიწყონ გამოძიება, — ამბობს ენმ-ს დეპუტატი ანი წითლიძე.

აუდიტის სამსახურმა 9 სამინისტროსა და მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ების მიერ 2017-19 წლებში განხორციელებული შესყიდვები შეისწავლა და ძირითადი ხარვეზები დაადგინა.




დასკვნის მიხედვით, სახეზეა სისტემური ხარვეზი და ყველა სახელმწიფო უწყებაში ერთნაირად ხდება სატენდერო პირობების მორგება კონკრეტულ კომპანიაზე, ასევე შესყიდვების ვადების ისე გადაწევა, რომ კონკურსში სასურველმა კომპანიამ გაიმარჯვოს.

დასკვნაში ასევე წერია, რომ ხშირ შემთხვევაში არ ხდება ბაზრისა და საჭიროების სათანადო კვლევა და ტენდერები დასაბუთების გარეშე ცხადდება, ხდება შესასყიდი ნივთების ისეთი ტექნიკური პარამეტრების შერჩევა, რომლებიც კონკრეტულ კომპანიას მოერგება.

აუდიტის დასკვნაში მოხვდა მორგებული ტენდერები.

# საკონკურსო კომისიამ ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატები პრეზიდენტს წარუდგინა




ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შესარჩევმა საკონკურსო კომისიამ შეარჩია და პრეზიდენტს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატები.

ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

კენჭისყრის შედეგად ცესკოს თავმჯდომარის ვაკანტურ პოზიციაზე პრეზიდენტს წარედგინა შემდეგი კანდიდატურები: თამაზ ფოლადაშვილი, თენგიზ თევზაძე და გიორგი კალანდარიშვილი.

ცესკოს წევრის ორ ვაკანტურ პოზიციაზე კი პრეზიდენტს წარედგინა: ქრისტინე ქაჯაია, ლევან ისაკაძე, მაია ზარიძე და გია ცაცაშვილი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატურების შერჩევიდან არაუგვიანეს 7 დღისა საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატურების შერჩევისა და ასარჩევად პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვადამდელი არჩევნების გარდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს“

## მურმან დუმბაძე: „ხელისუფლებას ოპოზიციამ სრული ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, „ოცნების“ წევრი რატი იონათამიშვილი აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა ყველაზე არასტაბილური პარტიაა, სადაც არ იციან, რა უნდათ. როგორ ფიქრობთ, ნაცმოძრაობა პარლამენტში შევა?***

— იონათამიშვილი როდის მერე მიხვდა, რა უნდათ ნაციონალებს, მას შემდეგ, რაც მისი პარტია ყოფილი ნაციონალებით აივსო?!

ამ საკითხზე ჩემი პერსონალური პოზიცია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ არ შეცვლილა. ხელისუფლებას ოპოზიციამ სრული ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს, ბოიკოტი — ყველა დონეზე. მაშინ ოპოზიცია მიაღწევს თავის მიზანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან რთული რეალობის წინაშე ვდგავართ.

2021 წლის თვითმმართველობის შემდეგ ბოიკოტის აუცილებლობა კიდევ უფრო მკაცრად დადგა. ბიძინა ივანიშვილი იმ რეგიონებსაც კი, სადაც პირწმინდად დამარცხდა, არ თმობს. ბათუმში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში დღემდე პრობლემებია. ადგილობრივი მთავრობა ვერ იქმნება. ამით ხელისუფლება გვეუბნება, რომ არჩევნების, დემოკრატიის გზით მისთვის ხელისუფლების ცვლილება წარმოუდგენელია. ამიტომ ვამბობ, რომ პოლიტიკური ბოიკოტი და ყველანაირი კავშირის გაწყვეტა იქნებოდა გამოსავალი.

***— თუმცა ოპოზიციამ ეს ვერ შეძლო.***

— ამიტომ ვამბობ, რომ მაშინ საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ტრიბუნაც გამოსაყენებელია. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ოპოზიციური ძალა მიიღებდა ბოიკოტის გადაწყვეტილებას, ოპოზიციას ნაკლები ბრძოლა მოუწევდა. თუ აზრთა სხვადასხვაობა იქნება და ზოგი შევა და ზოგიც გარეთ დარჩება, მაშინ ბოიკოტი აზრს კარგავს.

როდესაც ძალიან დიდ წინააღმდეგობას უწევ ხელისუფლებას, მაშინ ის იძულებულია, რაღაც დათმობაზე მაინც წამოვიდეს. მე მაინც მგონია, რომ საერთაშორისო პარტნიორების გარეშე არ შეიძლება ამ ხელისუფლებასთან ურთიერთობა.

***— თქვენ ამბობთ, რომ შარლ მიშელის დოკუმენტმა რამე შედეგი მოუტანა ოპოზიციას?***

— არა, არა! შარლ მიშელის დოკუმენტი კი შედგა საერთაშორისო პარტნიორობით, მაგრამ ხელისუფლებამ მალევე უკან წაიღო თავისი სიტყვა, ხელმოწერის ანულირება მოახდინა. როგორც ყოველთვის, ის პასუხს არ აგებს აღებულ ვალდებულებებზე და არც არაფერი არ დარჩა ამ დოკუმენტიდან არც საარჩევნო კოდექსისა და არც სასამართლო რეფორმის თვალსაზრისით. მეტიც, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი, დამოუკიდებელი ინსტიტუტი გააუქმა ამ ხელისუფლებამ.

***— სად ხედავთ გამოსავალს?***

— გამოსავალი მხოლოდ ერთადერთია და ეს ვადამდელი არჩევნებია. სხვა გამოსავალი ამ ქვეყანას არ აქვს, მით უფრო, როდესაც დეფოლტის წინაშე დგას, როდესაც სოციალური მუშაკები გაფიცვისთვის ემზადებიან. არ გამოვრიცხავ, გაფიცვების ტალღამ სრულად მოიცვას მთელი ქვეყანა. თუ დაანონსებული ოთხასი მუშაკის გაფიცვის ნაცვლად ოთხასი ათასი ადამიანის გაფიცვას მივიღებთ, მაშინ ვერც ოპოზიცია უშველის ამ საქმეს და ვერც ხელისუფლება. მაშინ ხელისუფლებას პანღურით გააგდებს ხალხი ყოველგვარი ოპოზიციის გარეშე.

***— გაზაფხულზე სოციალურ ფონზე გამოსვლებს ელოდებით?***

— არაფერს არ გამოვრიცხავ. სოციალური ფონი შეიძლება გახდეს მხოლოდ მაპროვოცირებელი, ტარიფების გაზრდა ყველა მიმართულებით, ტრანსპორტის საფასურის გაორმაგება და ა.შ. მაგრამ ამ ყველაფერს ექნება პოლიტიკური სარჩული. ეს ყველაფერი პოლიტიკამდე მიდის, რადგან პოლიტიკური ცვლილებების გარეშე სოციალური ცვლილებები არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა და ვერც საქართველოში მოხდება. ხალხს ყელში ამოუვიდა ეს ხელისუფლება, რომელიც არა ქვეყანასა და ხალხზე, არამედ საკუთარ ოჯახებზე ზრუნავს.



პოლიტიკა არ ტარდება ამ ქვეყანაში, რეფორმებსა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვაზე, მის წინსვლაზე აღარც კი ვსაუბრობ. პოლიტიკური პროცესი გაჩერებულია, პოლიტიკური კონკურენცია არ არსებობს. გამოუშვან მესამე პრეზიდენტი, დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები და ხალხმა მიიღოს გადაწყვეტილება, რა და როგორ უნდათ.

თუ სტიქიური გამოსვლები, გაფიცვები იქნება ქუჩებში, ხელისუფლებას სულ არ დასჭირდება ოპოზიციის მოთხოვნა თუ რჩევა, რომ ვადამდელი არჩევნები დანიშნოს, თვითონ დანიშნავს, მაგრამ, მერწმუნეთ, უკვე გვიან იქნება. მერე არაფერი არ უშველით. ეს უნდა გააცნობიერონ, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ ამას მიხვდებიან.

# ნაციონალურ მოძრაობაში ახალი სამდივნო შეიქმნება

ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებით, პარტიაში ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნა-გაძლიერება მიმდინარეობს.

მათივე ინფორმაციით, პარტიაში ახალი სამდივნო შეიქმნება.



როგორც პარტიის წევრმა ნიკა ობოლაძემ განაცხადა, პარტიული სტრუქტურა ძლიერდება, აღმასრულებელი რგოლი უფრო მეტად დაკომპლექტებული და ჩამოყალიბებული იქნება იმისთვის, რომ ახალი გამოწვევებისთვის იყოს მზად.

— პარტიაში ხდება პასუხისმგებლობების უფრო მეტად გადანაწილება, ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნა-გაძლიერება. ვემზადებით იმისთვის, რომ მეტად იყოს ხალხის ნება ასახული ქვეყნის მმართველობაში. შესაბამისად, ჩვენი სტრუქტურა უნდა იყოს მეტად ძლიერი იმისთვის, რომ პასუხობდეს ხალხის გამოწვევებს, — აცხადებს ობოლაძე.

ამასთან, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, პარტიის ცენტრალური ოფისის მენეჯმენტში ცვლილებები იქნება.

როგორც მან თქვა, გამოწვევების გადალახვასთან დაკავშირებით გუნდის წევრებთან და მხარდამჭერებთან კონსულტაციებს მართავენ.

მისივე განმარტებით, ცენტრალური ოფისის მენეჯმენტის ცვლილებებთან დაკავშირებით ფორმალური პრეზენტაცია, სავარაუდოდ, ორშაბათს, 17 იანვარს, გაიმართება.

— აქედან გამომდინარე, ბოლო დღეების განმავლობაში კონსულტაციები გვაქვს ჩვენი გუნდის წევრებთან, მხარდამჭერებთან და ყველასთან, ვისთან ერთადაც შესაძლებელი იქნება იმ ამოცანებისა და გამოწვევების გადალახვა, რომელიც არა მხოლოდ პარტიას, არამედ, პირველ რიგში, ქვეყანას უდგას, იმიტომ, რომ ჩვენი პარტია ოპოზიციიდანაც უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის ინტერესებს.

გამარჯვების მერე, რა თქმა უნდა, ჩვენ საზოგადოებას, ხალხს უნდა დავანახოთ, რა ხედვები გვაქვს, რა მიმართულებით ვაპირებთ მუშაობას და რა იქნება ჩვენი პრიორიტეტები. ამიტომ ამას სჭირდება ძალიან მოქნილი, კარგი მენეჯმენტი და ახალი სამდივნო, რაც სწორედ ამ ნიშნით იქნება შერჩეული, — აცხადებს პეტრე ცისკარიშვილი.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის პარლამენტში მუშაობის გაგრძელებას, პეტრე ცისკარიშვილის თქმით, სამომავლოდ ამ საკითხზეც იმსჯელებენ.

# სანატორიუმ „ქართლიდან“ დევნილი მამაკაცი გადახტა და გარდაიცვალა

გუშინ, 16 იანვარს, თბილისის ზღვის მიმდებარედ, ყოფილ სანატორიუმ „ქართლთან“ ხმაური იყო.

სანატორიუმში მცხოვრები ერთ-ერთი დევნილი მამაკაცი საცხოვრებელი ბინიდან გადახტა და გარდაიცვალა.

სანატორიუმ „ქართლის“ ერთ-ერთ მცხოვრებ თამარ საუთიევას ინფორმაციით, ეს ტრაგედია არის ყველა გადაწყვეტილების მიმღების პასუხისმგებლობა, რომლებმაც არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგეს იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარებულიყო.

— ყველანი ვართ შემზარავი ტრაგედიის მოწმე, გარეთ ვიდექით და ვსაუბრობდით, როგორი სამოქმედო გეგმა უნდა გვქონოდა, ამ დროს ამ ადამიანმა თავი მოიკლა. ის ფაქტობრივად შეეწირა იმ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც არ არის ადამიანზე გათვლილი და მიმართული.

ეს ადამიანი აცხადებდა, რომ თუ ყურადღებას არ მიაქცევდნენ, სწორედ ასეთ ფორმას მიმართავდა და თავს მოიკლავდა, იქნებ ამის შემდეგ მაინც მოგვაქციონ ყურადღებაო. ეს ტრაგედია არის ყველა გადაწყვეტილების მიმღების პასუხისმგებლობა, რომელმაც არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგა იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარებულიყო. იმედი მაქვს ამ ადამიანური ტრაგედიების ფონზე მაინც შერცხვებათ იმის, რაც მოხდა.

ჩვენ დიდი ხანია ვაპროტესტებთ, რომ ვცხოვრობთ გაუსაძლის პირობებში. აქ სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი პირობებია, რასაც არაერთი ექსპერტიზის დასკვნა მოწმობს. მოვითხოვეთ, რომ დაუყონებლივ მომხდარიყო ჩვენი გასახლების პროცესი, გვთავაზობენ ალტერნატიულ გზებს, რომელიც ჩვენთვის არ არის მისაღები. ამიტომ ვრჩებით ქუჩაში, ვერ შევდივართ სახლებში და ვიმყოფებით კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც შედარებით უსაფრთხოა, — აღნიშნა თამარ საუთიევამ.



ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები და ექსპერტ-კრიმინალისტები. მათ და მოქალაქეებს შორის პერიოდულად ხდებოდა სიტყვიერი დაპირისპირება.

აქციის მონაწილეებმა პროტესტის ნიშნად სანატორიუმამდე მისასვლელი გზა ავტომანქანის მეშვეობით გადაკეტეს.

ადგილობრივები ალტერნატიული ფართების გამოყოფას ითხოვენ. მათი განცხადებით, კორპუსი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ავარიულია და საფრთხე ყოველდღიურად იმატებს.

# ლაშა დარბაისელი: „მეტი პერსპექტივა ცალსახად არსებობს. მთავრობასთან ერთი თხოვნა გვაქვს“

2021 წელს საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი 56,6%-ით გაიზარდა.



როგორც ავტოიმპორტიორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლაშა დარბაისელი „ბიზნესპრესნიუსთან“ აცხადებს, ექსპორტის ზრდა ძირითადად ყაზახეთისა და შუა აზიის ქვეყნების ხარჯზე მოხდა.

ლაშა დარბაისელის თქმით, ყაზახეთთან ასოციაციამ სახელმწიფო უწყებებთან ერთად იმუშავა და იქ მიმდინარე არეულობა ნეგატიურად მოქმედებს ბიზნესზეც,

— ასოციაციამ, ფაქტობრივად, პირადი კონტაქტებით ვიმუშავეთ და შევძელით გზის გახსნა ყაზახეთისკენ. ამაში ჩართული იყო ბევრი სახელმწიფო ორგანო და საბოლოოდ, გავედით გარკვეულ დადებით შედეგზე, რაც ჩვენთვის მისაღები იყო, თუმცა არადამაკმაყოფილებელი. ყაზახეთი ბაზარზე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებდით. ცხადია, დადებითად ვერ აისახება მიმდინარე მოვლენები, მაგრამ იმედი გვაქვს, მალე მოხდება ვითარების დეესკალაცია, რათა შევძლოთ გავაგრძელოთ ბაზრის განვითარება პარტნიორებთან ერთად, — ამბობს დარბაისელი.

2020 წლისგან განსხვავებით, ვითარება სავალალო აღარაა, პერსპექტივა და პოტენციალი ცალსახად არსებობს.

— მეტი პერსპექტივა და პოტენციალი ცალსახად არსებობს. სახელმწიფოსთან გვაქვს ერთადერთი თხოვნა, ვიმუშაოთ შუა აზიის ქვეყნებთან ისე, როგორც ეს ყაზახეთთან მიმართებით მოხდა და შედეგზეც გავედით, — განაცხადა ლაშა დარბაისელმა.

2021 წლის 11 თვეში საქართველოდან 57.982 ერთეული (417,639 მლნ აშშ დოლარის ღირებულების) მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განხორციელდა, რაც პანდემიური 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 56,6%-ით აჭარბებს, თუმცა მკვეთრად ჩამოუვარდება პანდემიამდელ რიცხვებს.

2019 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოდან 90.703 მანქანის რეექსპორტი განხორციელდა, 2020 წელს კი – 37.019 ერთეულის.

# „ზურაბ ჭიჭოშვილის გარდაცვალების მიზეზს შესაბამისი სამსახური დაადგენს“ — ჯანდაცვის სამინისტრო

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მომხდართან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, შენობის ერთ-ერთი ბინიდან მამაკაცი გადახტა, განცხადებას ავრცელებს.

უწყება უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება და ზურაბ ჭიჭოშვილის გარდაცვალების მიზეზს შესაბამისი სამსახური დაადგენს.

ამასთან, განცხადების თანახმად, ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილები ახალ საცხოვრებელ ფართებს 2022 წელს უპირობოდ მიიღებენ.

— საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს ნაძალადევის რაიონში, ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით. სამინისტრო თანაუგრძნობს აფხაზეთიდან იძულებით დევნილ ზურაბ ჭიჭოშვილის ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება და ზურაბ ჭიჭოშვილის გარდაცვალების მიზეზს შესაბამისი სამსახური დაადგენს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი იძულებით გადაადგილებულ პირებზე ზრუნვა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ შენობაში მცხოვრებ ოჯახებზე გასცა ადმინისტრაციული დაპირება და განსახლების ორი გზა შესთავაზა.

იძულებით გადაადგილებულ პირებს თბილისში ბინის მოძიება თავად შეუძლიათ, რომლის შესყიდვასაც სააგენტო უზრუნველყოფს. დევნილ ოჯახებს ასევე აქვთ ალტერნატივა, რომ სააგენტოს მიერ შესყიდული ბინების მშენებლობის დასრულებას დაელოდონ. ამ შემთხვევაში სააგენტო, გამგეობასთან ერთად, მათ ქირის თანხით უზრუნველყოფას სთავაზობს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილები ახალ საცხოვრებელ ფართებს 2022 წელს უპირობოდ მიიღებენ.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „ოცნება“ ახალ პარტიას ქმნის?!

ნონა ცაბაძე



## ლადო სადღობელაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი ღარიბაშვილის მხარეს არის და მის გუნდში მოიაზრება“

**რა ხდება „ქართული ოცნების“ შიგნით? ჩატარდება თუ არა ვადამდელი არჩევნები? რას გეგმავს ივანიშვილი? რატომ ცნო სასამართლომ ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმე ხანდაზმულად? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**

***– ლადო, ბოლო პერიოდია, ხელისუფლების შიგნით არსებული დაპირისპირების შესახებ ბევრი ინფორმაცია ვრცელდება. ასევე დიდი განხილვის საგნად იქცა გასული კვირის ბოლოს ჩატარებული ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმე. ბევრს მოლოდინი ჰქონდა, რომ მათ დააპატიმრებდნენ, თუმცა მოსამართლემ საქმე გადააკვალიფიცირა და ხანდაზმულობის გამო დახურა. ბევრმა ეს ხელისუფლების სისუსტედ და წაგებულ ომად ჩათვალა. რას იტყვით თქვენ?***

– მე თავიდანვე ვამბობდი, რომ ის კონფლიქტი, რომელიც არსებობდა ხაზარაძესა და ივანიშვილს, ასევე – „ქართულ ოცნებას“ შორის, გამოწვეული იყო გახარიას გამო. ყველას ახსოვს, რომ სწორედ გახარია იყო იმ ჩანაწერების მიმტანი ბიძინა ივანიშვილთან. სწორედ ეს კუდი მოჰყვებოდა ამ დრომდე. მე მიმაჩნია, რომ ფულის გათეთრებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და, შესაძლოა, დასაჭერებიც იყვნენ, თუმცა აქ სულ სხვა რამაა საქმე.

***– რა? მოცემულობა შეიცვალა? ანუ იმას ამტკიცებთ, რომ ივანიშვილთან ხაზარაძეს საქმე გახარიამ გაუფუჭა?***

– სწორედ ასე ვიტყოდი. ამჟამად ეს პრობლემა რომ აღარ არსებობს, გახარია აღარ არის და ამათთან კონფროტაციის მიზეზიც აღარ არსებობდა. ხაზარაძესა და ჯაფარიძეს კი დაპატიმრების შეეშინდათ, შექმნეს პარტია და საქმე გააპოლიტიკურეს. მე ასე შევხედე ამ საქმეს. აღარ არის გახარია და მოიხსნა ეს პრობლემაც. აგერ ნელ-ნელა ჟონავს ინფორმაციები, რომ ფხაკაძეც გახარიას კარის ბიზნესმენი ყოფილა. გახარიას წასვლასთან ერთად ამ საქმემ აქტუალურობა დაკარგა. აი, ნახავთ, ნელ-ნელა პარტია „ლელოც“ ჩამოიშლება. აღარც პარტიის აუცილებლობა დგას დღის წესრიგში.

***– კვლავ დაალაგებს ურთიერთობებს ხაზარაძე ივანიშვილთან?***

– ეს მეორეხარისხოვანი პრობლემაა, დაალაგებს თუ არა. აქ სხვა პრობლემა იყო. ეს ყველაფერი წამოჭრა გახარიამ, მან აქცია პრობლემად და ახლა მასთან ერთად ნელ-ნელა ქრება. ურთიერთობებიც ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდება, როგორც მანამდე იყო.

***– ითქვა, რომ ამ ბრძოლაში ივანიშვილი და „ოცნება“ დამარცხდნენ. რას ფიქრობთ თქვენ?***

– შესაძლოა, ბევრმა ამ საქმეს ასე შეხედა, მაგრამ ასე არ არის. ის ადამიანი, რომელიც ამ ბრძოლის საწყისი იყო, აღარ არის „ოცნებაში“, პირიქით, მის ოპოზიციაშია, ამიტომ საქმეც ნაკლებად აქტუალური იყო. მე ვფიქრობ, პირიქით, ამით „ოცნებამ“ დიდი პრობლემა მოიშორა. ეს ზედმეტი თავისტკივილი იყო, რომელიც გახარიამ აჰკიდა.

***– სად არის თავად გახარია? ფაქტობრივად, არჩევნების შემდეგ დაიკარგა. რატომ?***

– მე თავიდანვე ვამბობდი, რომ ეს ადამიანი იყო საპნის ბუშტი. „ქართული ოცნების“ პიარსამსახურმა ეს კაცი შექმნა, დიდხანს იბერებოდა და ბოლოს გაიბერა და გასკდა. მორჩა, გახარია აღარ არის. გახარიას პარტიაც აღარ არის.

***– პრემიერებს შევეხეთ და დიდი მითქმამოთქმაა დღევანდელი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის გარშემო. უკვე ყველა ალაპარაკდა მის წასვლასთან დაკავშირებით. რა ხდება, მართლა უშვებენ ღარიბაშვილს?***

– ყურადღებით ვადევნებ თვალს ამ პროცესებს და განსაკუთრებით აქტიურობენ ამ კუთხით ნაციონალური მოძრაობის წევრები და მათგან „ოცნებაში“ ჩანერგილები. რადგან მათ პარტიაში დიდი არეულობაა, ერთი სული აქვთ, მმართველ გუნდშიც დაიძაბოს ვითარება. საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ ღარიბაშვილი მიდის, გადაჭარბებულია.

***– თავად „ოცნებასთან“ დაახლოებული პირები, პარტიის წევრებიც ავრცელებენ ხმებს, ღარიბაშვილი მიდისო.***

– კი, ბევრი ამბობს ამას, მაგრამ მე ვხედავ, რას შვრებიან მისი დანიშნული მინისტრები. ისინი ძალას იკრებენ და მაგრდებიან თავიანთ სამინისტროებში.

***– ღარიბაშვილსა და კობახიძეს შორის არსებული დაპირისპირება უკვე აღარ იმალებაო.***

– ეს კიდევ მეორე თემაა. სწორედ ეს არის იმის წინაპირობა, რომ ღარიბაშვილის წასვლის შესახებ ჭორი შიგნიდან გავრცელდა. ღარიბაშვილმა ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო საკუთარ თავზე მუშაობა, შეიქმნა სოციალურ ქსელში მისი ახალი გვერდი და ბევრში ამან პანიკა დათესა.

***– რაზე მიანიშნებთ, რა ინფორმაციები გაქვთ? მიდის თუ რჩება ღარიბაშვილი? ამ ყველაფერს ხომ საბოლოოდ ერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი წყვეტს.***

– კი, შესაძლოა, ასეა, მაგრამ მაშინ მთელი გუნდი უნდა შეიცვალოს. ახლა ადგე და ნახევარი მთავრობა მოაშორო, ეს ასე ადვილად არ ხდება. უნდა გამოიკვეთოს ადამიანი, რომელმაც უნდა მოიყვანოს თავისი გუნდი. იქ ძალოვანი უწყებებია და ასე ერთი დაკაკუნებით ვერ მოხდება ამხელა ცვლილებები. აღარ ჰყავს ლიდერები „ქართულ ოცნებას“, აღარაა ისეთი ძლიერი, როგორიც წინა წლებში იყო. ამ ყველაფერში ცოტა სხვა პროცესი იკვეთება. სულ სხვა პროექტი შეიძლება ვიხილოთ.

***– ირაკლი ღარიბაშვილი ემიჯნება პარტია „ქართულ ოცნებას“?***

– დიახ, ღარიბაშვილი ნელ-ნელა ცალკევდება პარტიისგან.

***– იმიტომ, რომ პარტიის თავმჯდომარე არის ირაკლი კობახიძე და ერთად ვერ ძოვენ. ასეა?***

– დიახ, ასეა. დღეს ღარიბაშვილი პრემიერია, ბიძინასაც აწყობს ის, როგორც პრემიერი, მაგრამ „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, მოძველდა. ივანიშვილს უნდა, რომ ამ პრემიერმა გააკეთოს ახალი პარტია და სწორედ ამ პარტიამ ჩაანაცვლოს „ქართული ოცნება“.

***– ივანიშვილი ღარიბაშვილს შეაქმნევინებს ახალ პარტიას?***

– დიახ, ალბათ, ასე იქნება. თუნდაც ის ახალი საიტის გაჩენა და ღარიბაშვილის სოციალურ მედიაში გააქტიურება სწორედ ასეთი ცვლილებების მანიშნებელია. ეს მიუთითებს იმაზეც, რომ ღარიბაშვილი აშკარად დისტანცირდა პარტიისგან და ეს სწორედ იმით შეიძლება იყოს განპირობებული, რომ ღარიბაშვილს მიებას ახალი პარტია, თუ არ ჩავთვლით იმასაც, რომ მას და კობახიძეს შორის სერიოზული დაპირისპირებაა. იმაზე, რომ ახალი პარტია უნდა შეიქმნას, დიდი ხანია, კულუარულად საუბრობენ. ბევრს არც ის სჯეროდა, რომ ღარიბაშვილი მობრუნდებოდა, მაგრამ მობრუნდა.

***– კობახიძის გადიდკაცებაზე დღეს ბევრს საუბრობენ, ის არის „ოცნებაში“ მთავარი, ის ადგენს პოლიტიკურ დღის წესრიგს და წყვეტს ყველაფერსო.***

– როგორც ჩანს, საბოლოოდ ვერ დალაგდა მათ შორის სიტუაცია, თუმცა პარალელურად ვხედავ, რომ კონკრეტული სამინისტროები ძლიერდება ღარიბაშვილის კადრებით. ყველაფერს, რომ კობახიძე წყვეტდეს, მაშინ არ მისცემდა ღარიბაშვილს გაძლიერების საშუალებას. ღარიბაშვილი ძლიერდება და, ამავდროულად, ემიჯნება პარტიას. აი, ეს პროცესი უფრო მიმდინარეობს. დღეს ბაზარზე ნამდვილად არის იმის მოთხოვნილება, რომ ახალი პარტია შეიქმნას. ოპოზიცია ძალიან სუსტია, თანაც ერთი და იგივე სახეებია ყველგან. ამიტომ კიდევ უფრო ვიხრები იქითკენ, რომ მალე ღარიბაშვილს ვიხილავთ ახალი პარტიით. „ოცნებამ“ აბსოლუტურად ყველა რესურსი ამოწურა.

***– და ღარიბაშვილი ვინ არის, „ოცნების“ ლიდერი და სახე არ არის? არც ეს იქნება სიახლე პოლიტიკურ ბაზარზე.***

– ოპოზიცია უარეს დღეშია. ორად გახლეჩილი და დაპირისპირებული ნაცმოძრაობა და სხვა პარტიები რა დღეში არიან, ვხედავთ. ღარიბაშვილთან ერთად ძველ სახეებს ვნახავთ გააქტიურებულს. დაველოდოთ პროცესების განვითარებას. ქართული პოლიტიკური სპექტრი აშკარად დამატებით ძალას მოითხოვს.

***– ამიტომ არ შემოუშვებენ ოპოზიციას და ამ ფლანგზე თავადვე ითამაშებენ?***

– ასე გამოდის. ბრძოლა რომ არის დაწყებული კონკრეტული ფიგურების წინააღმდეგ და აქ რომ ნაციონალური მოძრაობა არ ფიგურირებს, ეს ხომ აშკარაა.

***– რა ბრძოლას გულისხმობთ, „ოცნების“ შიგნით?***

– დიახ. თუნდაც დევნილები, აგერ უკვე რამდენიმე დღეა, აქციას მართავენ კანცელარიასთან და გამუდმებით ახსენებენ ფაცაციას, რომელიც ირაკლი კობახიძის დის ქმარია. ეს ხომ მიანიშნებს იმაზე, რომ ბრძოლა აშკარად მიმდინარეობს და ჩვეულებრივ ჩარჩოში აღარ არის პროცესები!

***– მეც სწორედ ამ დაპირისპირებებს ვგულისხმობდი, ანუ ღარიბაშვილის ფლანგი დევნილების დახმარებით ებრძვის კობახიძეს?***

– ნათელია, რომ შიდა ჯახია და ეს სერიოზულ სახეს იღებს. ბრძოლა აშკარაა.

***– ღარიბაშვილს რომ არ მოსწონდეს კობახიძე, დავიჯეროთ, ვერ მოიშორებდა მას? რაში დასჭირდებოდა ეს შიდადინებები?***

– ივანიშვილს არც ერთის წასვლა აწყობს და არც მეორის.

***– აბა, რა ხდება, მიუშვა ნებაზე, ჭამენ ერთმანეთს და შემდეგ გამარჯვებულის მხარეს დადგება?***

– არც ეს გამოვრიცხოთ. ბოლო პერიოდში თვალშისაცემია კიდევ ერთი საკითხი – პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ღარიბაშვილის მხარეს არის და მის გუნდში მოიაზრება. ის კი თავიდან ბოლომდე ევროპელების პროდუქტია საქართველოში.

***– ანუ?***

– ანუ ის, რომ ღარიბაშვილსაც დასავლეთის მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს.

***– როგორია თქვენი პროგნოზი, რას უნდა ველოდეთ უახლოეს პერიოდში?***

– როგორც ამ ქვეყნის კეთილმოსურნე, ვიტყოდი, კარგი იქნება, თუ დაინიშნება ვადამდელი არჩევნები, რაც ამ პოლიტიკურ აჯაფსანდალსა და თუნდაც კობახიძის ასეთ გავლენებს პარლამენტსა თუ სასამართლო სისტემაზე ბოლოს მოუღებდა.

***– არის მოსალოდნელი? პრემიერი აცხადებს, 2024-მდე არჩევნები არ იქნებაო.***

– ერთია, რა ცხადდება და მეორეა, რა კეთდება. ამ ყველაფერს იმის პირი უჩანს, რომ ვადამდელი მაინც იქნება.

***– პრემიერიც ამისთვის ხომ არ ემზადება, როცა თქვით, რომ განზე გადის „ოცნებისგან“?***

– ამის წინაპირობა ნამდვილად არის. გარდა ამისა, არის კულუარული ინფორმაციებიც და სწორედ ამიტომ ვაცხადებ ამ ყველაფერს ასე ღიად. საგრძნობლად დაიწყო ღარიბაშვილმა გაძლიერება, მიუხედავად შიდა დაპირისპირებებისა და იმისა, რომ მას ბევრი გუნდში არ ეთანხმება. პოლიტიკურ სპექტრს ესაჭიროება ახალი პარტია, დასუსტებულია როგორც ოპოზიცია, ისე სახელისუფლებო პარტია. ამიტომ დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. დავტოვოთ პატარა ინტრიგაც.

# რა მიზნები და პრეტენზიები ექნება „ეროვნულ-პატრიოტულ ფრონტს“?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში ახალი პოლიტიკური გაერთიანება, „ეროვნულ-პატრიოტული ფრონტი“ იქმნება. პრეზენტაცია უახლოეს ხანში გაიმართება. ახალი პოლიტიკური გაერთიანების ინიციატორად გამოდის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.

ამ პარტიამ ბოლო არჩევნებში გადალახა საარჩევნო ბარიერი, თუმცა მას შემდეგ დაიშალა და დასუსტდა. პარტიის ლიდერებმა უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე. პარლამენტის უმრავლესობამ დააკმაყოფილა მათი განაცხადებები მანდატების დატოვების თაობაზე. პარლამენტში მათ ნაცვლად შევიდნენ სიაში მათ შემდეგ შეყვანილი პირები. მათ, თავის მხრივ, დააარსეს ახალი პარტია, „ევროპელი სოციალისტები“. მათვე არგუნეს „ალიანსის“ ადგილები საარჩევნო კომისიებში. ამ გადაწყვეტილების უსამართლობის შესახებ საუბრობდნენ პოლიტიკოსები და იურისტები.

თარხან-მოურავისა და ინაშვილის „ალიანსი“ გამუდმებით საუბრობდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობაზე. ამასთან, პარტიაში ირწმუნებოდნენ, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ რჩება მძლავრ პარტიად, მთავარ ოპოზიციად, რომელიც დაჩაგრა „ქართულმა ოცნებამ“. ალიანსს მიაჩნია, რომ მმართველი გუნდი აგრძელებს კოაბიტაციას ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან.

დეკემბერში ინაშვილის პარტიამ გამოაცხადა, რომ იანვრის მეორე ნახევარში მოაწყობს ახალი, ეროვნული გაერთიანების პრეზენტაციას. მასში, „პატრიოტთა ალიანსის“ გარდა, შევლენ სხვა პოლიტიკური, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე ინდივიდები, რომელთა შორის არიან პოლიტიკოსები, სამხედრო მოსამსახურეები, კულტურის მოღვაწეები და სხვა.

– ჩვენი მიზანია „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის კოაბიტაციის დასრულება და საზოგადოების კონსოლიდაცია, – აცხადებენ პარტიის ლიდერები.

ახალი გაერთიანების შექმნა ემთხვევა იმ მომენტს, როცა უკიდურესობამდეა მისული დაპირისპირება რუსეთსა და ნატოს, რუსეთსა და აშშ-ს შორის. დასავლეთმა გამოაცხადა, რომ არ შეასრულებს კრემლის ულტიმატუმს ნატოს გაფართოების შეჩერებისა და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე. დასავლეთი უარს არ ამბობს ნატოს რიგებში საქართველოსა და უკრაინის მიღებაზე. შესაძლოა, ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდეს. უკრაინაში ომის დაწყებაც მოსალოდნელია.

ახალი გაერთიანება ნატოს თემას გვერდს ვერ აუვლის. ცნობილია „პატრიოტთა ალიანსის“ ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოს ნატოში გაწევრიანებისადმი. პარტია დიდი ხანია გამოდის ნეიტრალიტეტის (ბოლო წლებში – მიუმხრობლობის) იდეით.

დიდი ალბათობით, ახლადშექმნილი ფრონტი ნატოს წინააღმდეგ დაირაზმება და გააქტიურდება.

ნაციონალური მოძრაობის მსგავსად, „ეროვნულ-პატრიოტული ფრონტი“ აპირებს აქციების გამართვას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით.

პოტენციურ ფრონტელებს აქვთ იმის პრეტენზია, რომ მომავალ პარლამენტში მოვლენ უმრავლესობით და გააუქმებენ საქართველოს კონსტიტუციაში გაკეთებულ ჩანაწერს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციაზე და ამის მაგივრად გამოაცხადებენ მიუმხრობლობას.

მანამდე, ეტყობა, ფრონტის მთავარი ამოცანა ნატოს წინააღმდეგ კამპანიის გაჩაღება იქნება.

ახალი ფრონტი, რომელიც თავს დებს ეროვნული ღირებულებების დაცვაზე, გარკვეული საშუალებაა ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის გადასარჩენად, თუმცა ნატოს შეკავება ამ გაერთიანებას ვერ გამოუვა.

შესაძლოა, ფრონტმა მის მიმართ ლოიალურად განწყობილი საზოგადოების გაღიზიანებაც გამოიწვიოს იმის გამო, რომ მასში წარმოდგენილი იქნებიან პიროვნებები, რომლებიც წლების განმავლობაში მხარს უჭერდნენ რუსეთის სამხედრო ბაზების განთავსებას თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

საქართველოს მრავალჭირნახულ პოლიტიკას ბევრი დიდი პოლიტიკური გაერთიანება უნახავს. ახალი ფრონტი კიდევ ერთი მათგანი იქნება. ნეიტრალიტეტის თემით მანიპულირება ვერ გამოიღებს შედეგს. საქართველოს ნეიტრალიტეტი ადრეც არარეალური იყო. მით უფრო, ეს შეუძლებელია ახლა, როცა ნატოსა და კრემლს შორის კონფრონტაცია გაზრდილია, ხოლო რუსეთის აგრესიის შიშით ნატოში შესაძლო შესვლაზე ალაპარაკდნენ ნეიტრალური ფინეთი და შვედეთი.



# თეონა ჭალიძე: „სოციალურად დაუცველთა რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია“

– მიმდინარე წელს საარსებო შემწეობის მიმღებთა ბაზაში მოსახლეობის რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ სოციალური მიმართულების ხელმძღვანელმა თეონა ჭალიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, სოციალურად დაუცველთა რაოდენობა 6.420 ადამიანით გაიზარდა.

– „ინდაურის საცივის“ „გასთორვას“ თუ მორჩით, მინდა, ახალი ინფორმაცია მოგაწოდოთ, ძვირფასო მთავრობის წევრებო. განახლებული სტატისტიკით, ამ თვეში კიდევ გაიზარდა სოციალურად დაუცველთა რაოდენობა 6.420 პირით და დღეს უკვე 643.167 ადამიანია საარსებო შემწეობის მიმღებთა ბაზაში, ანუ 174.379 ოჯახი.

დიახ, კიდევ მეტი ითხოვს ამ დახმარებას, რომ თავი გადაირჩინოს, მაგრამ ახლა ორშაბათიდან სოციალური აგენტები იფიცებიან და ამ ხალხის განაცხადებებზე მრეაგირებელიც კი არავინ იქნება. ამით ისევ რიგითი მოქალაქეები ზარალდებიან, – განაცხადა თეონა ჭალიძემ.

# „ჯერ მოკლა, შემდეგ კი ბინაში გაზი გაუშვა"

## ნონა ჭაბაშვილის მკვლელობისთვის ლაგოდეხში მისი ყოფილი ქმარი გიორგი ბარბაქაძე დააკავეს

15 იანვარს ლაგოდეხში, საცხოვრებელ სახლში, ნონა ჭაბაშვილი ახლობლებმა სავარძელში გარდაცვლილი იპოვეს.

ბინაში გაზქურა იყო ჩართული, რასაც, სავარაუდოდ, ოჯახი გასათბობად იყენებდა.

ამის გამო გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნონა ჭაბაშვილი გაზით გაიგუდა, მაგრამ მოგვიანებით ითქვა, რომ ნონა ჭაბაშვილი ყოფილმა მეუღლემ, გიორგი ბარბაქაძემ, ჯერ მოკლა, შემდეგ კი საცხოვრებელ სახლში ბუნებრივი აირი გაუშვა.

გიორგი ბარბაქაძე დააკავეს.

ადგილობრივებს მიზეზებზე საუბარი უჭირთ. მათი თქმით, მკვლელობის საღამოს ქალი სახლში არასრულწლოვან შვილებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც ნონას და გიორგის შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, რის შემდეგაც ქმარმა ყოფილი ცოლი ბავშვების თვალწინ გაგუდა, შვილები სახლიდან წაიყვანა და ოთახში გაზის ონკანი მოშვებული დატოვა.

„მთავარი არხისთვის" ცნობილი გახდა, რომ ცოლ-ქმარს კონფლიქტი ხშირად ჰქონდა, მამაკაცი ხშირად იყო არაფხიზელ მდგომარეობაში, რის გამოც წყვილი 2 წლის წინ საბოლოოდ დაშორდა.

აღნიშნული შემთხვევის შესახებ შსს-მ განცხადება გაავრცელა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1985 წელს დაბადებული გ.ბ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გ.ბ.-მ ყოფილი მეუღლე, 1984 წელს დაბადებულ ნ.ჭ. ეჭვიანობის ნიადაგზე გაგუდა, რის შემდეგაც დანაშაულის დაფარვის მიზნით საცხოვრებელ სახლში არსებული ბუნებრივი აირის გაზქურის ონკანი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად გ.ბ. დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს".

# კახა წერეთელი: „ხაზარაძის საქმის ბოლო აუცილებლად არის გამართლება"



– სასამართლოს რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღო, მაინც არის განცდა და მოლოდინი იმისა, რომ ეს არ არის იმ დარბაზში მიღებული გადაწყვეტილება.

მის შესახებ ბიზნესმენ ავთანდილ წერეთლის ადვოკატმა კახა წერეთელმა „პალიტრანიუსის" გადაცემა „თავისუფალ სტუდიაში" ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საუბრისას განაცხადა.

როგორც ადვოკატმა განმარტა, ამ საქმის ბოლო „აუცილებლად არის გამართლება".

– პრაქტიკულად სასამართლომ არსებულ სიტუაციაში მოძებნა გამოსავალი, თითქოს არც მწვადი დაწვა და არც შამფური. სასამართლო არ არის ის ორგანო, რომელიც გამოსავალს უნდა ეძებდეს. სასამართლოს რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღო, მაინც არის განცდა და მოლოდინი იმის, რომ ეს არ არის იმ დარბაზში მიღებული გადაწყვეტილება, ეს ძალიან ცუდია და იმედია, რომ ეს ასე არ გაგრძელდება და შეიცვლება.

მტკიცებულებები არსად არ მიდის და არ იკარგება. ამ მტკიცებულებებით შეუძლებელია დანაშაულზე საუბარი. ბევრი წელია, ამ სფეროში ვართ, ბევრი საქმე გვინახავს მსგავსი და ამ საქმის ბოლო აუცილებლად არის გამართლება.

იურისტებს გვინდა ერთი რამ – სასამართლო დარბაზში მოლოდინები ეფუძნებოდეს გამოკვლეულ მტკიცებულებებს და არა იმას, რა იქნება კარგი, ცუდი, სწორი და არასწორი.

აღნიშნულმა საქმემ ერთი კარგი რამ გააკეთა – ის, რაც ვიცოდით ჩვენ, დავდიოდით სასამართლო დარბაზში, ძალიან ბევრი რამ გახდა ნათელი საზოგადოებისთვის და ალბათ, მხოლოდ ამისთვის ღირდა ამ საქმის წამოწყება, სხვა თუ არაფერი, – განაცხადა კახა წერეთელმა.

12 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულები მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი დამნაშავედ ცნო, თუმცა მოსამართლემ სამივე მათგანს მუხლის კვალიფიკაცია შეუცვალა და ისინი ჯგუფურ თაღლითობაში ცნო დამნაშავედ.

თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 7 წლის ვადით, თუმცა, მუხლის ხანდაზმულობის გამო, ისინი დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლდნენ.

# მოსამართლეები „ოცნებას" საკონსტიტუციოში უჩივლებენ



მოსამართლეთა ნაწილი აპირებს, „ქართული ოცნების" მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ კანონში" შეტანილი ცვლილებები, რომელსაც 13 იანვარს პრეზიდენტმა ვეტო არ დაადო, საკონსტიტუციოში გაასაჩივროს.

„მთავართან" ფაქტს მოქმედი მოსამართლე ეკა არეშიძე ადასტურებს.

– სარჩელს ვამზადებთ მოსამართლეთა ჯგუფი და აუცილებლად მივმართავთ საკონსტიტუციო სასამართლოს უახლოეს პერიოდში, – ამბობს ის.

მოსამართლეები მანამდე პრეზიდენტის ვეტოს მოლოდინში იყვნენ. მათ განცხადებაც გაავრცელეს და აღნიშნეს, რომ ცვლილებების მიღების შემთხვევაში მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას არსებითი საფრთხე შეექმნებოდა.

მოსამართლეები წერენ, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით დამოუკიდებელი მოსამართლეების შესუსტება, მათი დაშინებისა და კრიტიკული აზრის გამოხატვის აკრძალვის მცდელობა ხდება.

აღნიშნულ კანონპროექტზე ვეტოს დადებისკენ პრეზიდენტს არასამთავრობო ორგანიზაციებიც მოუწოდებდნენ, თუმცა სალომე ზურაბიშვილმა კანონს ხელი მოაწერა.

# თბილისის ბარში გერმანელ ტურისტს 1 ბოთლ ლუდში 950 ლარი გადაახდევინეს



თბილისის ბარში გერმანიიდან ჩამოსულ ტურისტს 1 ბოთლ ლუდში 273 ევრო გადაახდევინეს, ერთადერთი 50-ლარიანი კი, რომელიც ჯიბეში ედო, წაართვეს.

ისტორიას სოციალურ ქსელში ტურისტის ქართველი მეგობარი ავრცელებს.

გერმანიიდან მაქსი საქართველოში დასასვენებლად ჩამოვიდა, საღამოს ლუდის დასალევად ბარში წავიდა და შეუკვეთა 1 ლუდი. ამის შემდეგ ერთმა ქალმა შამპანური აიღო, რომლის ღირებულების გადახდაც გერმანელს მოსთხოვეს.

საბოლოოდ, ტურისტს 950 ლარი გადაახდევინეს.

„მეპატრონემ თუ ბარმენმა დაუძახა ერთ-ერთ გოგოს, რომელმაც შეუკვეთა შამპანური, ალბათ გეცნობათ ეს სიტუაცია, გამოსვლისას მოუტანეს ჩეკი, სადაც ლუდს 950 ლარი ეწერა, როცა რეალურად 15 ლარი ღირდა, ასევე ქვითარში იყო შამპანური, რომელიც არ შეუკვეთია.

როცა 15 ლარის გადახდა და გასვლა მოინდომა, გაბრაზდა ის ტიპი, სხვა ოთახში გაიყვანა და მოსთხოვა ფული, მაქსსაც შეეშინდა, არ იცოდა, რა ექნა, ვინაიდან მსგავსი შემთხვევა არ ჰქონია და სულ მარტო იყო, ამიტომ 273 ევრო თავისი გერმანული ბარათით გადაახდევინეს (950 ლარი), ასევე ერთადერთი 50 ლარი, რომელიც ჯიბეში ედო, ისიც წაართვეს, სამწუხაროდ", – წერს თამარ ზაკალაშვილი.

გესთჰაუსში დაბრუნების შემდეგ ბიჭმა პოლიცია გამოიძახა და ის განყოფილებაში დაიბარეს.

„ეს ბარი დღემდე მუშაობს და არც დაკეტავენ ალბათ, რადგან ვიღაცას აწყობს ან ვიღაც მფარველობს მსგავსი ტიპის ადგილებს, რამდენიმე გოგოსგანაც გამიგია, რომ მუშაობდნენ მსგავს ადგილას, რაც არის ძალიან დიდი სირცხვილი!" – წერს თამარ ზაკალაშვილი.

# მაღალჩინოსანს, რომელმაც ჯარისკაცებს ჯაგრისით საპირფარეშო ახეხვინა, 6 წელი მიესაჯა

პროკურატურის ინფორმაციით, შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსანს, რომელმაც „დასჯის მიზნით" ჯარისკაცებს კბილისა და ფეხსაცმლის ჯაგრისებით საპირფარეშოები ახეხვინა, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

საქმე ეხება გასულ წელს იაღლუჯის ბაზაზე მომხდარ შემთხვევებს.

„სასამართლო პროცესზე პროკურატურის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წელს, სხვადასხვა პერიოდში, შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ქვეგანყოფილების ცვლის უფროსმა გ.ბ.-მ ორ სამხედრო მოსამსახურეს მძიმე ჩაფხუტებითა და ჯავშანჟილეტებით აღჭურვილ მდგომარეობაში და პირადი ღირსების შეურაცხყოფით, სხვა სამხედრო მოსამსახურეების თანდასწრებით აიძულა ყაზარმის ტერიტორიის გახეხვა.

გარდა ამისა, 2020 წელს, სხვადასხვა პერიოდში, იმავე ბრალდებულმა ორ სამხედრო მოსამსახურეს პირადი ღირსების შეურაცხყოფით სხვა სამხედრო მოსამსახურეების თანდასწრებით აიძულა ყაზარმის ტერიტორიის გახეხვა", – ვკითხულობთ პროკურატურის განცხადებაში.

უწყების ინფორმაციით, ამავე საქმეზე ბრალდებული კიდევ ერთი მაღალჩინოსანი 2021 წლის 13 დეკემბერს ნაფიცმა მსაჯულებმა გაასამართლეს და მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

# „უსაყვარლესი დანიელი, როგორ წაგიცდა ფეხი, შვილო"

## რუსთავში 17 წლის ბიჭი გარდაიცვალა



რუსთავში 17 წლის ბიჭი გარდაიცვალა.

„ინფო რუსთავის" ინფორმაციით, VII მიკრორაიონში, ერთ-ერთ ბინაში, ძველით ახალი წლის აღნიშვნის მიზნით ნაცნობ-მეგობრები, 18 წლამდე ბიჭები და გოგოები შეიკრიბნენ.

ბინიდან ხმაური გამოდიოდა, პერიოდულად ზოგი მიდიოდა და მათ ნაცვლად სხვები მოდიოდნენ.

არასრულწლოვნებმა მიიღეს ალკოჰოლური სასმელები და ასევე, სავარაუდოდ, მსუბუქი ნარკოტიკი. გამთენიისას ერთ-ერთი მათგანი, არასრულწლოვანი ბიჭი, მოულოდნელად ცუდად გახდა, დაბლა ჩავიდა და კორპუსის ეზოში გონება დაკარგა.

მეგობრები ცდილობდნენ დახმარებას, დარეკეს 112-ში და გამოიძახეს სასწრაფო, თუმცა ბიჭის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ადგილობრივები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა ნარკოკომას.

„უწესიერესი ოჯახის შვილი, შეგნებით სავსე ხალხი. უსაყვარლესი დანიელი, როგორ წაგიცდა ფეხი, შვილო".

„მისმა დედამ 5 საუკეთესო შვილი აღზარდა. თავი შეიკავეთ უაზრო აზრების გამოთქმისგან, ხვალ თქვენთვისაც მოიცლის წუთისოფელი".

„დანი, შვილო, რით ვანუგეშოთ შენი მშობლები და და-ძმა. დიდი ტკივილი ხარ".

„ეს ბინა ვინც იყიდა, თვალით არ გვინახავს არავის. ერთხელ მივუკაკუნე, ვიღაცები იყვნენ, ქირაობა მინდა ამ ბინის და მეპატრონის ნომერი მომეცით-მეთქი და არ გვაქვს ნომერიო. ეტყობა, გაფრთხილებული ჰყავს მეპატრონეს".

„როდესაც გავიდნენ სადარბაზოდან, შემთხვევით ვიყურებოდი ფანჯარაში და დავინახე, რომ იყვნენ არასრულწლოვნები, რამაც გამაგიჟა, მანქანის საბარგული აავსეს დარჩენილი სასმელებით. მაგ დროს ყველას სტუმარი ჰყავს და რას მიხვდები, ვისთან იყვნენ", – წერენ მეზობლები.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო.

# რუსთავში, „ქართლი ტექსტილთან", ავტობუსებს ცეცხლი გაუჩნდა



რუსთავში, „ქართლი ტექსტილის" სამკერვალო საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე 14 იანვარს ხანძარი გაჩნდა.

ცეცხლი ავტობუსებს წაეკიდა, რომლებითაც კომპანია თანამშრომლების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

თავდაპირველად ცეცხლი ერთ ავტობუსს გაუჩნდა და შემდეგ მეორეზე გავრცელდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სახანძრო-სამაშველო ბრიგადები.

ცეცხლის ლოკალიზება დროულად მოხერხდა.

# ლიკანში ავარიის შედეგად დაშავებული ქალი გარდაიცვალა

ლიკანში ავარიის შედეგად დაშავებული 35 წლამდე ქალი გარდაიცვალა.

ინფორმაციას ადგილობრივი მედია, „სამხრეთის კარიბჭე", ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ქალი 10 დღის განმავლობაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.

ავარია ლიკანთან 6 იანვარს მოხდა.

# ხანძარი ვარკეთილში

14 იანვარს ვარკეთილში, ზემო პლატოზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ხანძრის ლიკვიდაცია მოახერხა.

მოხუცი მამაკაცი, რომლის სახლშიც ცეცხლი გაჩნდა, შემთხვევის დროს სახლში არ იმყოფებოდა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.

# თბილისში, რუსთაველზე, ნაძვის ხესთან მანქანა ავტობუსს დაეჯახა

15 იანვარს თბილისში, საახალწლო ნაძვის ხესთან, რუსთაველის გამზირზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ერთმანეთს ავტომობილი და ავტობუსი შეეჯახნენ. დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

# ხელვაჩაურში, ოცნების ქალაქში, ბინა დაიწვა



ხელვაჩაურში, ე.წ. ოცნების ქალაქში, ორსართულიანი კორპუსის მეორე სართულზე ხანძრის შედეგად ერთი ბინა მთლიანად დაიწვა, ხოლო მეორე დაზიანდა.

როგორც მეზობლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, აღნიშნულ ბინაში ხანძრის დროს არავინ იმყოფებოდა.

მათივე თქმით, ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია.

შემთხვევის ადგილზე სამაშველო სამსახურის თანამშრომლები და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მივიდნენ.

# ავარია გორთან

## 6 დაშავებული „გორმედში" გადაიყვანეს



15 იანვარს გორთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ავარიის შედეგად დაშავებული 6 მგზავრი სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა კლინიკა „გორმედში" გადაიყვანეს.

დაშავებულთაგან 4 არასრულწლოვანია.

„გორმედის" კლინიკური დირექტორის ხათუნა შრუბის ინფორმაციით, ექვსივე პაციენტს გაეწია შესაბამისი სამედიცინო დახმარება და ჩაუტარდა ყველა საჭირო კვლევა. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. აღნიშნული ავარიის გარდა, მოცურების შედეგად 1 ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან იგოეთთან გადავარდა, 2 ავტოსაგზაო შემთხვევა კი ავტობანის გორი-რუისის მონაკვეთზე მოხდა.

რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო გართულებული იყო ავტომობილების გადაადგილება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის იგოეთი-ხაშურის მონაკვეთზე.

# ტეხასის სინაგოგიდან მძევლები უვნებლად გაათავისუფლეს



გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 11– საათიანი ოპერაციის შემდეგ ტეხასის სინაგოგიდან 4 მძევალი უვნებლად გაათავისუფლა, ექვმიტანილი კი გარდაიცვალა.

შეიარაღებული მამაკაცი სინაგოგაში რელიგიური მსახურების დროს შეიჭრა და იქ მყოფი 4 პირი, მათ შორის რაბინი, მძევლად აიყვანა.

ფედერალური საგამოძიებო ბიუროს დალასის სპეციალურმა აგენტმა მეთიუ დესარნომ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეჭვმიტანილი იდენტიფიცირებულია, მაგრამ ხელისუფლება მის ვინაობას არ ამხელს, რადგან გამოძიება გრძელდება.

– ეს გამოძიება მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობას, – განაცხადა დესარნომ.

გამომძიებლების ვარაუდით, მძევლების აყვანა შესაძლოა მოტივირებული იყოს აფია სიდიკის გათავისუფლების სურვილით, რომელიც ტეხასის ერთ-ერთ დაწესებულებაში იხდის 86-წლიან სასჯელს.

იგი 2010 წელს გაასამართლეს 7 ბრალდებით, მათ შორის მკვლელობის მცდელობისა და ავღანეთში ამერიკელ ოფიცრებზე შეიარაღებული თავდასხმის გამო.

# ყაზახეთში არეულობის დროს 225 ადამიანი დაიღუპა



ყაზახეთში საპროტესტო აქციების დროს მომხდარი არეულობისას გარდაცვლილთა რიცხვი 225-მდე გაიზარდა.

ინფორმაციას ბრიტანული მედია ავრცელებს.

– საგანგებო მდგომარეობის დროს 225 ადამიანის ცხედარი მორგებში გადაასვენეს, მათგან 19 სამართალდამცავი და სამხედრო პერსონალი იყო, – განაცხადა ყაზახეთის გენერალურმა პროკურორმა სერიკ შალაბაევმა.

მისივე თქმით, სხვები იყვნენ შეიარაღებული ბანდიტები, რომლებიც მონაწილეობდნენ ტერორისტულ თავდასხმებში.

– სამწუხაროდ, მშვიდობიანი მოქალაქეებიც გახდნენ ტერორისტული აქტების მსხვერპლი, – აღნიშნა პროკურორმა.

გენერალური პროკურატურა დაახლოებით 550 სისხლის სამართლის საქმეს იძიებს. საავადმყოფოში მკურნალობის ქვეშ 2.600 ადამიანი იმყოფება, მათგან 67-ის მდგომარეობა მძიმეა.

მანამდე ყაზახეთის ხელისუფლება 164 დაღუპულის შესახებ იტყობინებოდა.

ყაზახეთში 19 იანვრამდე საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

# პეკინში ომიკრონის გამო ახალი შეზღუდვები წესდება



პეკინში ომიკრონ ვარიანტის დაფიქსირების გამო დამატებითი შეზღუდვები წესდება.

პეკინი მოგზაურებს მოსთხოვს, ჩაიტარონ ტესტი ჩინეთის დედაქალაქში ჩასვლიდან 72 საათის განმავლობაში.

ახალი წესი, რომელიც ძალაში 22 იანვარს შევა, მარტის ბოლომდე იმოქმედებს.

პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე დაახლოებით 20 დღე რჩება, ქალაქში კი ომიკრონ ვარიანტით ინფიცირების პირველი შემთხვევა გამოვლინდა.

მოქალაქეს, რომელსაც ახალი შტამი დაუფიქსირდა, ქალაქგარეთ მოგზაურობის ისტორია არ აქვს, თუმცა ცნობილია, რომ ბოლო 2 კვირის განმავლობაში ის არაერთხელ იყო მოლსა და რესტორანში.

# გრიზლოვი ბელარუსში რუსეთის ელჩად დაინიშნა

რუსი პოლიტიკოსი გრიზლოვი ბელარუსში რუსეთის ელჩად დაინიშნა.

ვლადიმერ პუტინმა უკვე მოაწერა ხელი შესაბამის დადგენილებას.

გრიზლოვი სათავეში ედგა რუსულ დელეგაციას დონბასის კონფლიქტის მოგვარების სამმხრივ კომისიაში (უკრაინა, ეუთო, რუსეთი).

# ტონგაში წყალქვეშა ვულკანი ამოიფრქვა



წყალქვეშა ვულკან ჰინგა-ტონგას ამოფრქვევის გამო წყნარი ოკეანის კუნძულოვან სახელმწიფო ტონგას ცუნამი დაატყდა თავს.

წყნარ ოკეანეში ვულკანის საკმაოდ ძლიერი ამოფრქვევა დაფიქსირდა, რამაც გიგანტური ტალღები წარმოქმნა.

სოციალურ მედიაში გავრცელებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ გაანადგურა ტალღებმა რამდენიმე სახლი. ამასთან, ვულკანიდან ამოსულმა კვამლმა და ფერფლმა ტონგას დედაქალაქ ნუკუალოფამდეც მიაღწია.

დაშავებულებისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ნოვაკ ჯოკოვიჩი ავსტრალიიდან გააძევეს




ავსტრალიის ღია პირველობა კი დაიწყო, მაგრამ უკვე დამთავრდა ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის. სერბმა ჩოგბურთელმა ავსტრალიის ფედერალურ სასამართლოში აპელაციის შემდეგ სასამართლო დავა წააგო. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჯოკოვიჩის განაცხადი და ძალაში დატოვა იმიგრაციის მინისტრის გადაწყვეტილება.

შესაბამისად, ჯოკოვიჩი ტურნირის დაწყებამდე ჩაიხსნა.

**ნოვაკ ჯოკოვიჩი:**

– ჯერჯერობით დასვენება და ბევრ რამეზე დაფიქრება მჭირდება, სანამ რამეს გადაჭრით ვიტყვი. ძალიან მეწყინა ეს გადაწყვეტილება, რის გამოც დარჩენა და ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაში არ შემიძლია. პატივს ვცემ სასამართლოს გადაწყვეტილებას და ქვეყანას აუცილებლად დავტოვებ. ჩოგბურთელებს, ორგანიზატორებსა და მოხალისეებს კარგი ღია პირველობის ჩატარებას ვუსურვებ. ჩემს მეგობრებს, გულშემატკივრებსა და ოჯახს თანადგომისთვის მადლობას ვუხდი.

შეგახსენებთ, რომ 5 იანვარს ჯოკოვიჩს ავსტრალიის საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მისცეს. მართალია, სერბ ჩოგბურთელს „სამედიცინო გამონაკლისის“ საბუთები ჰქონდა, რომლებიც ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებისგან მიიღო, მაგრამ საზღვარზე საკმარისი არ აღმოჩნდა. ჯოკოვიჩი რამდენიმე დღე ემიგრანტებისთვის განკუთვნილ სასტუმროში იმყოფებოდა, 10 იანვარს კი ავსტრალიის ხელისუფლებას სასამართლო მოუგო და გაათავისუფლეს. მას შემდეგ ნოლე მელბურნში ვარჯიშობდა და ემიგრაციის მინისტრის გადაწყვეტილებას ელოდა.

14 იანვარს მინისტრმა ჰოუკმა ვიზის კიდევ ერთხელ გაუქმება და ნოლეს ქვეყნიდან დეპორტაცია მოითხოვა, განმეორებითმა სასამართლომ კი მსოფლიოს პირველ ჩოგანს ვეღარ უშველა.

ნოვაკ ჯოკოვიჩმა ავსტრალია დატოვა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

### გოგონამ ყოფილ შეყვარებულზე შური მისი დროებით დაპატიმრებით იძია



ინგლისის ქალაქ ლივერპულში გოგონამ გადაწყვიტა, შური ეძია თავის ყოფილ შეყვარებულზე და მისი 81 საათით დაპატიმრებასა და საკანში მოთავსებას მიაღწია.

20 წლის კორტნი აილენდ-ეინსვორტმა ინსტაგრამში 30 ყალბი აკაუნტი შექმნა და ყოველ მათგანში საკუთარ თავზე თავისი ყოფილი მეგობარი მამაკაცის, 22 წლის ლუის ჯოლის სახელით მუქარის შემცველი ათეულობით შეტყობინება განათავსა. ტექსტში თითქოსდა ის ძალადობითა და ანგარიშსწორებით ემუქრებოდა.

აილენდ-ეინსვორტმა პოლიციაში ათამდე განცხადება შეიტანა და ახალგაზრდა მამაკაცს დევნა და ზეწოლა დასდო ბრალად. პოლიციელებმა ჯოლი ექვსჯერ დააკავეს და, საერთო ჯამში, მან საპატიმროში 81 საათი გაატარა. მამაკაცს ბრალად დასდეს გოგონას დევნა, მისცეს სპეციალური ორდერი და გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. შედეგად მან სამსახური დაკარგა.

გამოძიების ფარგლებში პოლიციის თანამშრომლებმა მეტას (ადრე ფეისბუქი) მიმართეს, რათა მონაცემები მიეღოთ იმ აკაუნტებზე, რომლებშიც მუქარის შემცველი შეტყობინებები იყო გამოქვეყნებული. გაირკვა, რომ მინიმუმ 17 მათგანი აილენდ-ეინსვორტის ფოსტაზე იყო დარეგისტრირებული. დაკითხვის დროს გოგონამ საკუთარი დანაშაული აღიარა და, შესაბამისად, ახალგაზრდა მამაკაცს ბრალდება მოეხსნა.

### პატიმარი მისივე თხოვნით ნათესავის დასაფლავებაზე გაუშვეს და უკან აღარ დაბრუნდა



ამერიკის მინესოტის შტატის ქალაქ მინეაპოლისის ციხის პატიმარმა სამი საათით ითხოვა გათავისუფლება ნათესავის დასაფლავებაზე დასასწრებად და უკან აღარ დაბრუნდა.

18 წლის შევირიო კავირიონ ჩაილდს-იანგი ციხეში ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ფლობისა და დაკავების დროს წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით აღმოჩნდა. ის მას შემდეგ დააკავეს, რაც პოლიციელებმა მისი ავტომობილი გააჩერეს და მარიხუანის სუნი იგრძნეს. ჩხრეკის დროს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მანქანაში დატენილი პისტოლეტი აღმოაჩინეს და თავდაპირველად ერთ-ერთი მგზავრის დაკავებას აპირებდნენ, რომელმაც განაცხადა, რომ ეს მისი იარაღი იყო, მაგრამ ჩაილდს-იანგმა განაცხადა, რომ ეს მისი პისტოლეტი იყო, შემდეგ კი გაქცევა ცადა და დაკავების პროცესში პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია.

დაკავების მომენტისთვის არასრულწლოვან დამნაშავეს არაერთხელ ჰქონდა დარღვეული კანონი, მაგალითად, თავს ესხმოდა მოქალაქეებს და იარაღით ემუქრებოდა. ამის გამო მას იარაღის შენახვა აკრძალული ჰქონდა. მოსამართლე რეჯაინა ჩუმ პატიმრის ციხიდან სამი საათით გაშვების ნებართვა გასცა, რათა ის ნათესავის დასაფლავებას დასწრებოდა. დანიშნულ დროს ახალგაზრდა დამნაშავე უკან აღარ დაბრუნდა. მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

### ძროხებმა ქალს ნეკნები ჩაუმტვრიეს



დიდ ბრიტანეთში 55 წლის ქალი კინაღამ ძროხების თავდასხმამ იმსხვერპლა. ის ნეკნების მოტეხილობებით გადარჩა. როგორც იანიკე ტვედტმა გაიხსენა, 2021 წლის ივლისში ის შეყვარებულ დევიდ ჰუდთან და ძაღლთან, სახელად ბატთან ერთად იორკშირის საგრაფოს ქალაქ მაშემის შემოგარენში სეირნობდა. გარკვეული დროის შემდეგ ისინი ნახირს გადაეყარნენ.

როგორც კი ერთ-ერთმა ძროხამ მათი ლაბრადორი შენიშნა, თავს დაესხა და ურქინა. ამის შემდეგ სხვა ძროხებმაც მოირბინეს და ძაღლის შეშინებულ პატრონს შეუტიეს, ძირს დააგდეს და ჩლიქები დაუშინეს.

– ერთ-ერთი მათგანი რამდენიმეჯერ შედგა უკანა ფეხებზე და წინა ფეხები დამცხო, – იხსენებს ტვედტი. გაცოფებულმა ძროხებმა ქალს შვიდი ნეკნი ჩაუმტვრიეს. დაშავებულმა ქალმა შეყვარებულთან ერთად თავდამსხმელებისგან თავის დაღწევა და უახლოესი ხისთვის თავის შეფარება მოახერხა. იქ, თავად ქალის აღიარებით, რამდენიმეჯერ დაკარგა გონება. როდესაც ძროხებმა თავი ანებეს და გაეცალნენ, ჰუდმა დახმარების თხოვნით უახლოესი სახლების მცხოვრებლებს მიმართა. საავადმყოფოში გაირკვა, რომ ქალს ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული, დაზიანებული ჰქონდა მკერდი და შინაგანი ორგანოები. ექიმებს ქალისთვის მსხვილი ნაწლავის ნაწილის მოშორება მოუხდათ.

### პალესტინელებმა „მოსადის“ მიერ მიგზავნილი შეიარაღებული ჯაშუში დელფინი დაიჭირეს



პალესტინურმა დაჯგუფება ჰამასმა გაავრცელა განცხადება შეიარაღებული დელფინის დაჭერის თაობაზე, რომელსაც თითქოსდა სპეციალური მომზადება ჰქონდა გავლილი ისრაელის სპეცსამსახურ „მოსადში“.

ჰამასის წარმომადგენლების მტკიცებით, მათთვის მიგზავნილ დელფინზე დამაგრებული იყო ჰარპუნიანი იარაღი. დაჯგუფებაში თვლიან, რომ ის მათი მეომრების დასახოცად იყო განკუთვნილი.

ეს უკვე მეორე საეჭვო დელფინია, რომელიც პალესტინელებმა დაიჭირეს. 2015 წელს დაჯგუფების წარმომადგენლებმა ღაზის სექტორის სანაპიროსთან შენიშნეს ჯაშუში დელფინი, რომელიც ვიდეოკამერითა და პატარა ისრების სასროლი მოწყობილობით იყო აღჭურვილი.

### ქალმა ძაღლი მგლის თავდასხმისგან გადაარჩინა



კანადის კუნძულ ვანკუვერში, სუკის მუნიციპალიტეტის მახლობლად, ქალმა ბილიკზე სეირნობის დროს საკუთარი ძაღლი გადაარჩინა, რომელსაც მგელი თავს დაესხა.

ქალი ძაღლს საბელის გარეშე ასეირნებდა. შინაური ცხოველი წინ გავარდა და მალე მისი წკმუტუნის ხმა გაისმა. ქალმა ძაღლთან მიირბინა და დაინახა, რომ მგელი მას კბილებით ყელში ჩაფრენოდა. მან მოახერხა მტაცებელი ცხოველი დაეფრთხო და ძაღლი გაეთავისუფლებინა. ამ ინციდენტის შემდეგ შინაური ცხოველი ვეტერინარების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

მეორე დღეს შემთხვევის ადგილზე ბუნების დაცვის სამსახურის ოფიცერი პიტერ პაუელსი მივიდა. მან აღნიშნა, რომ ის თავდამსხმელი ცხოველის აქტიური ძებნით არ არის დაკავებული.

– რა თქმა უნდა, ძაღლზე, რომელიც საბელის გარეშე სეირნობს, თავდასხმა რაიმე უცნაურობას არ წარმოადგენს, თუმცა ყველაზე ხშირად თავდამსხმელად პუმები გვევლინებიან. ეს კი ამ კუნძულზე მრავალი წლის მანძილზე მგლის ძაღლზე თავდასხმის პირველი შემთხვევაა, – ხაზგასმით აღნიშნა ოფიცერმა.

### მამაკაცი ნათესავს შემთხვევით გამდიდრებაში დაეხმარა და ცოლი გაანაწყენა

მამაკაცმა შობაზე ხუთ დოლარად ნაყიდი ლატარიის ბილეთი ნათესავს აჩუქა, ამით კი მას გამდიდრებაში დაეხმარა, ხოლო საკუთარი მეუღლე გაანაწყენა. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელებში დაწერა.




მისი თქმით, ის ყოველ წელს ნათესავებს საშობაო საჩუქრებს უგზავნის, რომელთა ღირებულება 10 დოლარს არ აღემატება და მათგანაც სამაგიეროს იღებს. მან აღნიშნა, რომ ის, ტრადიციულად, ნათესავებისთვის თითო ლატარიის ბილეთს ყიდულობს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, დიდი მოგება არ მოაქვთ. მოგების მაქსიმალური თანხა 50 დოლარს შეადგენდა.

თუმცა წელს მის ახლო ნათესავს ერგო ლატარიის ბილეთი, რომლის მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა. 23 წლის ახალგაზრდა ბედნიერებისგან ღრიალებდა, ხოლო დედამისი სიხარულისგან ტიროდა. ამ დროს კი მამაკაცმა სმს მიიღო მეუღლისგან, რომელიც იქ იმყოფებოდა, მაგრამ ქუჩაში გავიდა. შეტყობინებაში ეწერა: „გამოდი მანქანასთან“.

ცოლმა მამაკაცს მოსთხოვა, რომ მომგებიანი ბილეთი გამოერთმია ნათესავისთვის და მხოლოდ მოგებული თანხის ნაწილი მიეცა. ამაზე ქმარმა უპასუხა, რომ მათ საკმარისად ჰქონდათ ფული, ხოლო ახალგაზრდა ნათესავი კოლეჯის სტუდენტი იყო და გაჭირვებით ისტუმრებდა სწავლის გადასახადს. ამ პასუხმა მამაკაცის ცოლი ვერ დააკმაყოფილა და კვლავ თავისას მოითხოვდა, შემდეგ კი მასთან ურთიერთობა საერთოდ შეწყვიტა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# შედეგები

## 15 იანვარი

### ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

ნიგერია-სუდანი ............................ 3:1
გვინეა ბისაუ-ეგვიპტე .................... 0:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ჩელსი .................................... 1:0
ვულვზი-საუთჰემპტონი .................. 3:1
ნორვიჩი-ევერტონი ......................... 2:1
ნიუკასლი-უოტფორდი ..................... 1:1
ასტონ ვილა-მანჩესტერი ................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 22 | 18 | 2 | 2 | 54-13 | 56 |
| 2.ჩელსი | 22 | 12 | 7 | 3 | 45-17 | 43 |
| 3.ლივერპული | 20 | 12 | 6 | 2 | 52-18 | 42 |
| 4.ვესტ ჰემი | 21 | 11 | 4 | 6 | 39-27 | 37 |
| 5.არსენალი | 20 | 11 | 2 | 7 | 33-25 | 35 |
| 6.ტოტენჰემი | 18 | 10 | 3 | 5 | 23-20 | 33 |
| 7.მანჩესტერი | 20 | 9 | 5 | 6 | 32-29 | 32 |
| 8.ვულვზი | 20 | 9 | 4 | 7 | 17-15 | 31 |
| 9.ბრაიტონი | 20 | 6 | 10 | 4 | 21-21 | 28 |
| 10.ლესტერი | 18 | 7 | 4 | 7 | 31-33 | 25 |
| 11.კრ.პალასი | 21 | 5 | 9 | 7 | 30-31 | 24 |
| 12.საუთჰემპტონი | 21 | 5 | 9 | 7 | 25-33 | 24 |
| 13.ასტონ ვილა | 20 | 7 | 2 | 11 | 27-32 | 23 |
| 14.ბრენტფორდი | 20 | 6 | 5 | 9 | 24-30 | 23 |
| 15.ევერტონი | 19 | 5 | 4 | 10 | 24-34 | 19 |
| 16.ლიდსი | 19 | 4 | 7 | 8 | 21-37 | 19 |
| 17.უოტფორდი | 19 | 4 | 2 | 13 | 23-37 | 14 |
| 18.ნორვიჩი | 21 | 3 | 4 | 14 | 10-45 | 13 |
| 19.ნიუკასლი | 20 | 1 | 9 | 10 | 20-43 | 12 |
| 20.ბარნლი | 17 | 1 | 8 | 8 | 16-27 | 11 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-ბლექბერნი ....................... 0:1
ლუთონი-ბორნმუთი ......................... 3:2
დერბი-შეფილდი .............................. 2:0
ქპრ-ვესტ ბრომვიჩი ........................ 1:0
მიდლსბრო-რედინგი ........................ 2:1
მილუოლი-ნოტინგემი ...................... 0:1
პიტერბრო-ქოვენთრი ....................... 1:4
პრესტონი-ბირმინგემი ..................... 1:1
ფულემი-ბრისტოლო ......................... 6:2
ჰადერსფილდი-სუონსი ..................... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-ჰერტა ........................ 0:0
კიოლნი-ბაიერნი ............................. 0:4
მაინცი-ბოხუმი ................................ 1:0
უნიონი-ჰოფენჰაიმი ......................... 2:1
შტუტგარტი-ლაიფციგი ..................... 0:2
გლადბახი-ლევერკუზენი .................. 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 19 | 15 | 1 | 3 | 61-18 | 46 |
| 2.დორტმუნდი | 19 | 13 | 1 | 5 | 49-29 | 40 |
| 3.ლევერკუზენი | 19 | 9 | 5 | 5 | 44-31 | 32 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 19 | 9 | 4 | 6 | 39-29 | 31 |
| 5.უნიონი | 19 | 8 | 7 | 4 | 27-24 | 31 |
| 6.ფრაიბურგი | 19 | 8 | 6 | 5 | 31-23 | 30 |
| 7.ლაიფციგი | 19 | 8 | 4 | 7 | 36-23 | 28 |
| 8.კიოლნი | 19 | 7 | 7 | 5 | 30-32 | 28 |
| 9.მაინცი | 19 | 8 | 3 | 8 | 27-21 | 27 |
| 10.აინტრახტი | 18 | 7 | 6 | 5 | 29-27 | 27 |
| 11.ბოხუმი | 19 | 7 | 2 | 10 | 17-27 | 23 |
| 12.გლადბახი | 19 | 6 | 4 | 9 | 25-35 | 22 |
| 13.ჰერტა | 19 | 6 | 4 | 9 | 21-38 | 22 |
| 14.ვოლფსბურგი | 19 | 6 | 3 | 10 | 17-30 | 21 |
| 15.შტუტგარტი | 19 | 4 | 6 | 9 | 22-33 | 18 |
| 16.აუგბურგი | 18 | 4 | 6 | 8 | 18-29 | 18 |
| 17.არმინია | 18 | 3 | 8 | 7 | 16-24 | 17 |
| 18.ფიურტი | 18 | 1 | 3 | 14 | 13-49 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვერდერი-ფორტუნა ......................... 3:0
ნიურნბერგი-პადერბორნი ................ 1:2
ზ.პაული-აუე .................................. 2:2
დარმშტადი-კარლსრუე .................... 2:2

**ესპანეთი. სამეფო თასი**

მალიორკა-ესპანიოლი ..................... 2:1
ხირონა-რაიო ................................. 1:2
ხიხონი-კადისი .......................... 0:0(2:4პ)

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ტორინო ........................ 1:2
სალერნიტანა-ლაციო ....................... 0:3
იუვენტუსი-უდინეზე ........................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 20 | 15 | 4 | 1 | 51-16 | 49 |
| 2.მილანი | 21 | 15 | 3 | 3 | 46-23 | 48 |
| 3.ნაპოლი | 21 | 13 | 4 | 4 | 37-15 | 43 |
| 4.ატალანტა | 20 | 12 | 5 | 3 | 44-26 | 41 |
| 5.იუვენტუსი | 22 | 12 | 5 | 5 | 34-21 | 41 |
| 6.ლაციო | 22 | 10 | 5 | 7 | 46-39 | 35 |
| 7.რომა | 21 | 10 | 2 | 9 | 35-28 | 32 |
| 8.ფიორენტინა | 20 | 10 | 2 | 8 | 34-29 | 32 |
| 9.ტორინო | 21 | 9 | 4 | 8 | 29-20 | 31 |
| 10.ვერონა | 22 | 8 | 6 | 8 | 41-37 | 30 |
| 11.სასუოლო | 22 | 7 | 7 | 8 | 38-37 | 28 |
| 12.ემპოლი | 21 | 8 | 4 | 9 | 34-42 | 28 |
| 13.ბოლონია | 20 | 8 | 3 | 9 | 28-33 | 27 |
| 14.უდინეზე | 20 | 4 | 8 | 8 | 28-36 | 20 |
| 15.სამდორია | 22 | 5 | 5 | 12 | 29-40 | 20 |
| 16.სპეცია | 21 | 5 | 4 | 12 | 21-41 | 19 |
| 17.ვენეცია | 20 | 4 | 5 | 11 | 18-37 | 17 |
| 18.კალიარი | 21 | 3 | 7 | 11 | 21-42 | 16 |
| 19.ჯენოა | 21 | 1 | 9 | 11 | 20-39 | 12 |
| 20.სალერნიტანა | 20 | 3 | 2 | 15 | 13-46 | 11 |

**იტალია. სერია ბ**

კრემონეზე-კომო ............................ 2:0
რეჯინა-ბრეშა ................................ 0:2
პიზა-ფროზინონე ............................ 1:3

**საფრანგეთი. ლიგა 1**

სტ.ეტიენი-ლანსი ........................... 1:2
პსჟ-ბრესტი .................................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 21 | 15 | 5 | 1 | 42-18 | 50 |
| 2.ნიცა | 21 | 12 | 4 | 5 | 34-18 | 39 |
| 3.მარსელი | 19 | 10 | 6 | 3 | 27-15 | 36 |
| 4.რენი | 21 | 10 | 4 | 7 | 40-19 | 34 |
| 5.ლანსი | 21 | 9 | 6 | 6 | 36-29 | 33 |
| 6.მონპელიე | 19 | 9 | 4 | 6 | 33-24 | 31 |
| 7.მონაკო | 20 | 8 | 6 | 6 | 29-23 | 30 |
| 8.სტრასბური | 19 | 8 | 5 | 6 | 36-24 | 29 |
| 9.ნანტი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-25 | 29 |
| 10.ლილი | 19 | 7 | 7 | 5 | 26-26 | 28 |
| 11.ლიონი | 19 | 6 | 8 | 5 | 27-27 | 25 |
| 12.ანჟე | 19 | 6 | 7 | 6 | 26-27 | 25 |
| 13.ბრესტი | 21 | 6 | 7 | 8 | 26-33 | 25 |
| 14.რეიმსი | 20 | 5 | 9 | 6 | 22-22 | 24 |
| 15.კლერმონი | 19 | 4 | 6 | 9 | 20-32 | 18 |
| 16.ტრუა | 19 | 4 | 5 | 10 | 18-28 | 17 |
| 17.ბორდო | 21 | 3 | 8 | 10 | 30-50 | 17 |
| 18.ლორიანი | 19 | 3 | 7 | 9 | 15-31 | 16 |
| 19.მეცი | 20 | 3 | 7 | 10 | 23-41 | 16 |
| 20.სტ.ეტიენი | 20 | 2 | 6 | 12 | 18-42 | 12 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

გენგამი-გრენობლი ......................... 0:0
ნანსი-ბასტია .................................. 2:1
როდეზი-დიჟონი ............................. 0:2
ტულუზა-პო ................................... 1:1
სოშო-კაენი .................................... 3:2

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

ნაიმეგენი-ერაკლესი ....................... 0:0
ტვენტე-ჰერენვენი .......................... 2:0
ფეიენოორდი-ვიტესი ...................... 0:1
იგლზი-ვალვეიკი ............................ 0:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-ჟილ ვისენტე ................... 1:1
ბენფიკა-მორეირენშე ...................... 1:1
ბრაგა-მარიტიმუ ............................. 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-სტ.ტრუიდენი ..................... 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ადანა-ქაისერი ................................ 1:1
სივასი-ტრაბზონი ............................ 1:1
ქარაგუმრუქი-რიზე ......................... 2:0
ანთალია-ფენერბახჩე ...................... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ვოლოსი .......................... 1:0
ლამია-იონიკოსი ............................. 2:1
აპოლონი-არისი .............................. 0:0
პაოკი-ოფი ..................................... 3:0

# ქუთაისის ტორპედოს ამბიციური გეგმები



დიდი ამბებით ემზადება ახალი საფეხბურთო სეზონის წინ ქუთაისის ტორპედო. თუმცა, მერამდენე წელია, რიონისპირული გუნდიდან ეროვნული ლიგის დაწყებამდე მუდმივად მაღალ მიზნებზე საუბარი ისმის და „წიწილების დათვლა“ ზამთარში, ფლეი აუტის მატჩებში უწევს.

ვნახოთ, რა იქნება ამჯერად, მით უფრო, რომ გუნდის ახალ მფლობელს, კომპანია „ნიუ ვიჟენს“, ამბიციური განცხადებები აქვს გაკეთებული. თუმცა, ჯერ მხოლოდ განცხადებები – საქმე აწი გამოჩნდება.

გუნდი ახალი საფეხბურთო სეზონისთვის აქტიურ სამზადისს თურქეთის ქალაქ ბელეკში შეუდგა. კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, თურქული შეკრება 2 ეტაპად ჩაივლის.

საწვრთნელი პროცესის პირველი ნაწილი მთლიანად ფიზიკური კონდიციების ოპტიმალურ დონეზე მიყვანას დაეთმობა და ტორპედო ორჯერად ვარჯიშებზე გადავიდა. 29 იანვარს იქნება ერთი ამხანაგური მატჩიც – ჩერნოგორიულ რუდარს შეხვდებიან.

შემდეგ ერთდღიანი შესვენება იქნება, ხოლო მეორე შეკრება 2 თებერვალს დაიწყება, რომლის დროსაც, სავარაუდოდ, კიდევ 4 ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ახლა წამსვლელ-მომსვლელებზეც...

გუნდი დატოვა ფადი ზიდანმა. 28 წლის პალესტინელი ფორვარდი უმ ალ-ფაჰმის ჰაპოელის საკუთრებაა და უკან დაბრუნდა. ტორპედოში 32 მატჩში 8 გოლი და 3 საგოლე პასი მიითვალა.

26 წლის ნახევარმცველ ოლეგ მამასახლისს ტორპედოსთან კონტრაქტი დაუსრულდა და არ გაუგრძელეს. ამ ფაქტს ქუთაისელ გულშემატკივართა ჯგუფი კრიტიკით შეხვდა. ამის მიზეზი ის არის, რომ მამასახლისმა გუნდთან ერთად ყველაზე რთული პერიოდი გადაიტანა და უკვე მეორედ უწევს ტორპედოს დატოვება.

გუნდიდან წავიდნენ ლეგიონერები – ალეკ მუდიმუ და სამეულ ინკუმი. მუდიმუ ერთ-ერთი გამორჩეული ლეგიონერი იყო ჩვენს ჩემპიონატში.

ტორპედოში ვარჯიშობდა გიორგი არაბიძე და ქუთაისურ კლუბში მისი გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ არაბიძეც სხვა გუნდის საკუთრებაა. პორტუგალიურმა ნასიონალმა ზედმეტად ძვირი თანხა მოითხოვა.

სამაგიეროდ, ტორპედოს ღირსებას ახალ სეზონში დაიცავენ: 29 წლის მარცხენა მცველი ლაშა შერგელაშვილი, რომელსაც საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია. გასული სეზონი თელავში გაატარა და 35 მატჩში 5 გოლი გაიტანა;

25 წლის ნახევარმცველი აკაკი შულაია, რომელიც გასულ წელს საბურთალოს შემადგენლობაში თამაშობდა და საქართველოს თასის მფლობელი გახდა. 32 მატჩი, 4 გოლი – ასეთია მისი მონაგარი დედაქალაქურ კლუბში.

29 წლის საყრდენი ნახევარმცველი გიული მანჯგალაძე კი ტორპედოში ჩემპიონის რანგში მივიდა. გამოცდილმა ნახევარმცველმა გასული სეზონი ბათუმის დინამოში გაატარა და 29 მატჩში 3 გოლი შეაგდო.

მესამეადგილოსანია 24 წლის თავდამსხმელი ირაკლი ბუღრიძე, რომელმაც გასულ სეზონში გორის დილას შემადგენლობაში 28 შეხვედრა ჩაატარა და 2 გოლი მიითვალა.

ტორპედოს დაუბრუნდნენ „ძირძველი ტორპედოელები“: 29 წლის ნახევარმცველი გიორგი კუხიანიძე, რომელიც ბოლოს უზბეკურ ყიზილყუმში თამაშობდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც იყო.

კიდევ ერთი დაბრუნებული 29 წლის მარცხენა მცველი გიორგი ქიმაძეა. 2019 წლის სეზონიდან თბილისის დინამოს ფეხბურთელს სერიოზული ტრავმის გამო შარშან მთელი სეზონი გაუცდა.

დაბრუნებული უნდა ვუწოდოთ დინო ჰამზიჩსაც. 33 წლის ბოსნიელი მეკარე გუნდს თურქულ შეკრებაზე შეუერთდა. გეტყვით, რომ გასულ სეზონში მან ტორპედოს მაისურით კი ითამაშა, მაგრამ სეზონის ბოლომდე გუნდიდან წავიდა და ახლა ისევ მობრუნდა.

და ბოლოს გიორგი პაპუნაშვილი, რომელიც ერთ დროს ქართული ფეხბურთის იმედად გამოიყურებოდა.

პაპუნაშვილი თბილისის დინამოს აღზრდილია და კარიერაც იქვე დაიწყო. მერე იყო გერმანული ვერდერის მე-2 გუნდი, ესპანური გუნდები – სარაგოსა და რასინგი, ბოლოს კი – კვიპროსული აპოლონი.

ტრავმებმა ნიჭიერ შემტევს, რომელსაც საქართველოს ნაკრებშიც (14 მატჩი, 3 გოლი) უთამაშია, გასაქანი არ მისცა და იძულებული გახდა, საქართველოში დაბრუნებულიყო. კვიპროსული კლუბიდან დეკემბერში გათავისუფლდა, თავისუფალი აგენტი გახდა და, მისი მენეჯერის თქმით, რამდენიმე ევროპული გუნდიც იწვევდა, მაგრამ საბოლოოდ კარიერის საქართველოში გაგრძელება გადაწყვიტა.

ტორპედოს ახალწვეულმა საქართველოში დაბრუნებაზე, ქუთაისური გუნდის ამბიციურ გეგმებსა და მასთან დაკავშირებულ იმედებზე ილაპარაკა:

**გიორგი პაპუნაშვილი:**

– ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობას, მთავარ მწვრთნელ გია ცეცაძეს, „ნიუ ვიჟენის“ მთელ შემადგენლობას ამ ნდობისთვის. რაც შეეხება ტორპედოში ჩემს გადასვლას, დიდი ხანია, საუბარი გვქონდა, თუ როგორ უნდა განვითარდეს გუნდი. მათი გეგმები ჩემთვის ძალიან მომხიბვლელი აღმოჩნდა...

რაც შეეხება გულშემატკივარს, ვიცნობ იმ გაგებით, რომ ქუთაისში ბევრი მატჩის ჩატარება მომიხდა. ვიცი, როგორ უყვართ მათ ტორპედო და როგორი გულშემატკივრობა შეუძლიათ. ძალიან ბედნიერი ვიქნები, მომავალ სეზონში გვერდში თუ დაგვიდგებიან, რადგან ახალი გუნდი ვართ, ახალი მიზნები და დიდი ამბიციები გვაქვს, ამიტომ მათი თანადგომა ძალიან დაგვჭირდება...

გუნდის ბირთვს ვიცნობ და ბედნიერი ვარ, რომ მეც ამ გუნდის წევრი გავხდი. ტორპედოს დღევანდელი შემადგენლობა გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ შეგვიძლია ვიბრძოლოთ ჩემპიონობისთვის, თასისთვის, ევროტურნირებისთვის... მოხარული ვიქნები, თუ ამ მიზნის განხორციელებაში მაქსიმალურად შევიტან ჩემს წვლილსაც.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# მამაკაცმა სამი ნიანგის თავდასხმა მოიგერია, ერთ-ერთი კი მოკლა



ზიმბაბვეს პროვინცია დასავლეთ მაშონალენდის ქალაქ კარიბას მკვიდრი საავადმყოფოში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც შიშველი ხელებით მოიგერია სამი ნიანგის თავდასხმა, ხოლო ერთ-ერთი მათგანი მოკლა.

დილით ადრე ალექსანდრ ჩიმედზა ტბა კარიბას ნაპირთან თევზაობისთვის ჭიაყელებს ეძებდა, როდესაც თავს ნიანგები დაესხნენ. მამაკაცმა ერთ-ერთ მათგანს ხახაში ხელი ჩასჩარა და შედეგად რეპტილია გაიგუდა.

დაშავებული მამაკაცი ბარძაყებზე მიღებული იარებით, ხელებისა და თითების მოტეხილობებით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მისმა 23 წლის მეუღლე პრიმროზ მადუფუმ განაცხადა, რომ მისმა ქმარმა შიშველი ხელებით მოახერხა, თავდამსხმელ რეპტილიებს გამკლავებოდა. ექიმებმა მამაკაცს კანის გადანერგვის ოპერაცია გაუკეთეს. მისი მკურნალობა წარმატებით მიმდინარეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგული ავტომობილი; 2. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 3. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 4, მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ქართველი პაროდისტი, ქართული მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 6. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 7. ალუმინის შემცველი მადანი; 10. ფულის ერთეული ალბანეთში; 11. უნგრეთის დედაქალაქი; 12. საბრძოლო იარაღის საწყობის არსენალის ძველებური სახელწოდება; 13, რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 16. ოქროს მომპოვებელი ფირმა საქართველოში; 18. ტაძარი ქუთაისში; 19. მდინარე ზუგდიდში; 21. გარეული ცხოველი; 24. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 3. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 9. ტკბილი, მოწითალო ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 14. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 15. ამერიკული სიგარეტი; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ამჟავებული ღვინო; 23. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 25. ჩაკეტილი მრუდი მათემატიკაში; 26. თხუნელის მეორე სახელწოდება; 27. ქალაქი ჩეხეთში; 28. „შუშანიკის წამების“ ავტორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აბზინდა; 2. ფესახი; 3. ესმერალდა; 4. ჩითილი; 5. სარკაზმი; 7. ბანა; 11. ტყაპუჭი; 13. კატრანი; 15. ხიხვი; 16. გაუჩო; 18. ქეიფი; 19. ვარნა.

**თარაზულად:** 6. ბომბეი; 8. მენისკი; 9. თითბერი; 10. ნოკაუტი; 12. გიენა; 14. შირაზი; 17. დეტექტივი; 20. კრუზადო; 21. ავუარი; 22. ფლინტი; 23. შორაპანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შუმი; 2. ერი; 3. კარაბინი; 4. ჯო; 5. გლიპტიკა; 6. ქაჯი; 7. წირქოლი; 10. გენი; 11. მონუმენტი; 12. ტანგენსი; 13. შოთი; 16. სოკერი; 18. ბოიკოტი; 19. შტორმი; 21. სეული; 24. ტუნგი.

**თარაზულად:** 1. შევროლე; 3. კოტეჯი; 8. ალმასი; 9. მაგო; 14. გნომა; 15. მონეტა; 17. ნოტი; 20. ნამუსი; 22. კროლი; 23. ტრესტი; 25. სკა; 26. ერბო; 27. იკაო; 28. ნოსტალგია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 3.0775


ევრო — 3.5268


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2260


100 რუსული რუბლი — 4.0434

## ამინდის პროგნოზი 17 იანვრისათვის




## დემბელე, დიდი ალბათობით, ბარსელონას დატოვებს



ბარსელონის ფრანგი შემტევი უსმან დემბელე გუნდის დატოვებასთან ახლოს არის, რადგან ის და ბარსელონა კონტრაქტზე ვერ შეთანხმდნენ.

დემბელემ განაცხადა, რომ ის მსოფლიო დონის ფეხბურთელია და უფრო მაღალ ანაზღაურებას იმსახურებს, თან მას რამდენიმე სარფიანი წინადადება აქვს.

შესაძლოა, დემბელემ ბარსელონა უკვე იანვარში დატოვოს ან ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდეს.

## რაფაელ ბენიტესი ევერტონიდან გაუშვეს



ევერტონი დროებით მთავარი მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი, რადგან ბენიტესი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ევერტონი სატურნირო ცხრილში მხოლოდ მე-15 ადგილზეა, გასავარდნ ზონას მხოლოდ 6 ქულა აშორებს და, ბუნებრივია, ეს შედეგი ევერტონის ფანებისთვის მიუღებელია. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება ამ გუნდის ახალი მწვრთნელი.

## ჰოლანდს ბარსელონაში თამაში სურს



ესპანურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც დორტმუნდის ბორუსიის ფორვარდ ერლინგ ჰოლანდს ბარსელონაში თამაში სურს და მზად არის, შედარებით მცირე ანაზღაურებასაც დასთანხმდეს.

ჰოლანდის შეძენით რეალიც არის დაინტერესებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ნორვეგიელმა თავისი არჩევანი უკვე გააკეთა.

ბარსელონისთვის ჰოლანდის ყიდვა ერთ-ერთი მთავარი სატრანსფერო პრიორიტეტია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ამერიკელმა პუმა ღრიალით დააფრთხო



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესის მახლობლად მამაკაცმა პუმა, რომელიც მას გამოეკიდა და თავდასხმას უპირებდა, ღრიალით დააფრთხო. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთ ადგილობრივ ტელეარხსა და იუთუბიზე გამოქვეყნდა.

ჩანაწერში, რომელიც სოციალურ ქსელებში ვირუსული გახდა, ჩანს, თუ როგორ მიდის ბუჩქნარით დაფარულ მთაგორიან ადგილზე მოგზაური. მოულოდნელად მამაკაცმა ფეხს აუჩქარა და სირბილზე გადავიდა. როდესაც კამერა უკან მიატრიალა, კადრში პუმა გამოჩნდა, რომელიც მას მისდევდა. კაცი მოულოდნელად გაჩერდა და ბოლო მომენტში მტაცებელს დაუღრიალა. ასეთი საქციელი პუმისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, დაფრთხა და გაიქცა.

ამ ვიდეორგოლმა იუთუბიზე მცირე დროში 320 ათასზე მეტი ნახვა და 1,9 ათასი მოწონება მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



**17 იანვრისათვის**

**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. **კურო** – ბედი გწყალობთ. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – თქვენი აქტიურობა დაფასდება და სასურველ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს განსაკუთრებით გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **ლომი** – განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნურაფერს დაგეგმავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი სულიერ წონასწორობას მოგიტანთ. პარტნიორების დარწმუნებას დაუბრკოლებლად მოახერხებთ. **სასწორი** – ყველა პრობლემა წარსულში რჩება. გიმართლებთ რომანტიკულ ურთიერთობებში. **ღრიანკალი** – საქმიანი შეხვედრებისა და მივლინებებისათვის შესაფერისი დღეა. წინდაუხედაობა პრობლემებს შეგიქმნით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ მოვალეობას პირნათლად ასრულებთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება. **მერწყული** – პასიური, მშვიდი დღეა. კოლეგები და პარტნიორები მხარს გიჭერენ. **თევზები** – თვითდამკვიდრებას მშვენივრად ახერხებთ. ხელმძღვანელი პირები თქვენს მუშაობას სათანადოდ დააფასებენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

კაცმა სპექტაკლზე დააგვიანა, გიჟივით შევარდა თეატრში და დარბაზისკენ გარბის. დერეფანში კარისკაცი წამოეწია და ეუბნება:

– იცით, სპექტაკლი უკვე დაწყებულია და გთხოვთ დარბაზში ფეხაკრეფით შეხვიდეთ.

– რა, სძინავთ უკვე?

●●●

სიძესთან სტუმრად მისული სიდედრი ეკითხება:

– სიძევ ბატონო, სამზარეულოში ჭურჭელი რატომ არის დამტვრეული?

– მე და შენმა შვილმა ვიჩხუბეთ და იმიტომ.

– და დივანი რატომღაა ჩატეხილი?

– ვრიგდებოდით!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– სულ ტყუილად ვეჩხუბეთ ქალიშვილს პირსინგის გამო.

– რატომ?

– ახლა დილით მისი ლოგინიდან აყენება უფრო ადვილია.

●●●

ბავშვი დედას ეუბნება:

– ხვალ საბავშვო ბაღიდან შენ წამომიყვანე!

– რატომ მე და არა მამაშენმა?

– იმიტომ, რომ მამიკო დაბნეულია.

– და ასე რატომ ფიქრობ?

– იმიტომ, რომ გუშინ, თავისი დაბნეულობის გამო, ჩემ მაგივრად ჩემი დამრიგებელი წაიყვანა და არა სახლში, არამედ იქვე ბაღის საკუჭნაოში!

●●●

მოსამართლე განსასჯელს ეუბნება:

– სახელმწიფო მოხელის შეურაცხყოფისთვის გაჯარიმებთ 500 ლარით. ბრალდებულო, რამის თქმა ხომ არ გნებავთ?

– საერთოდ კი, მაგრამ ასეთი ფასებით...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩვენ ქვეყანაში ფულით თითქმის ყველაფრის გაკეთება შეიძლება!

– ნამდვილად. და ის, რისი გაკეთებაც ფულით არ შეიძლება, შეიძლება ფულისთვის გაკეთდეს.

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– სვამ?

– არა.

– ეწევი?

– არა.

– ნარკოტიკებს მოიხმარ?

– არა.

– კი მაგრამ, რით იხსნი დაძაბულობას?

– როდის დავძაბულვარ რო?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „ჩემი ცოლის დაქალების“ გადაღებები შეჩერდა




ფორმულა კრეატივის სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ გადაღებები შეჩერებულია. მიზეზი ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებაა:

– დამძიმებული ეპიდვითარების გამო „ჩემი ცოლის დაქალების“ გადაღებები დროებით შეჩერებულია. სერიების ეთერში გასვლის თარიღს მალე შეგატყობინებთ. გისურვებთ ჯანმრთელობას, – ნათქვამია „ჩემი ცოლის დაქალების“ შემოქმედებითი ჯგუფის ოფიციალურ განცხადებაში.

## სალომე ფაჟავამ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მოიგო



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეათე საიუბილეო სეზონის გამარჯვებულები ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავა და მისი მეწყვილე რატი გაჩეჩილაძე გახდნენ.

ფინალში ჟიურისა და მაყურებლისთვის სამმა წყვილმა იცეკვა: სალომე ფაჟავამ და რატი გაჩეჩილაძემ, თი მაჭავარიანმა და ერეკლე გირგვლიანმა და გიგა კვენეტაძემ და ირა კვიტინსკაიამ. ჟიურიმ ყველა მონაწილეს თანაბარი ქულები დაუწერა და საუკეთესოს გამოვლენის შანსი მაყურებელს მისცა.

ყველა მონაწილემ შოუს სპონსორებისგან ფასიანი საჩუქრები და პრიზები მიიღო, გამარჯვებულს კი ბათუმში ბინა გადაეცა.

**სალომე ფაჟავა:**

– ყველაზე დიდი ბედნიერება, რომელიც მომანიჭა ამ პროექტმა, ისაა, რომ ძალიან მაგარი მეგობრები შევიძინე და ჩემი ქართველი ხალხის გულწრფელი მხარდაჭერა, სითბო, სიყვარული დავიმსახურე! ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ერთი ზარი მაინც გამოგვიგზავნა მხარდასაჭერად, ულრმეს მადლობას გიხდით!

ერთობლივი ძალებით ჩვენ შევძელით და გავიმარჯვეთ!

## ლეჩხუმური სასიმღერო ფოლკლორის მემატიანე რაფიელ კოპალიანი გარდაიცვალა



97 წლის ასაკში ლეჩხუმური სასიმღერო ფოლკლორის მემატიანე რაფიელ კოპალიანი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მალხაზ ერქვანიძემ გაავრცელა:

– 97 წლის ასაკში გარდაიცვალა რაფიელ კოპალიანი.

ლეჩხუმური სასიმღერო ფოლკლორის მემატიანე. შესანიშნავი ლოტბარი, ათეული წლების განმავლობაში ცაგერის ფოლკლორულ ანსამბლ „სალხინოს“ ხელმძღვანელი.

უტკბილესი, უბოროტო, უსაშველოდ მოსიყვარულე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ყველასთვის მლოცველი.

იგი იყო შესანიშნავი ოჯახის პატრონი. ჰყავს მეუღლე, ქალბატონი შუქურა, რომელმაც სიკვდილამდე უერთგულა ძვირფას მეუღლეს.

თავის დროზე საყვარელი შვილის გარდაცვალებამ დიდი დაღი დაასვა მის ცხოვრებას, მაგრამ უფალმა მისცა ძალა და მხნეობა, იმედით ეცხოვრა მომავალში.

კიდევ ერთი სული მიიბარა უფალმან თავისთან; კიდევ ერთი ძაფი გაწყდა, რომელსაც ვერავინ გაამთელებს; კიდევ ერთი ცარიელი ადგილი გაჩნდა, რომელსაც ვერავინ დაიკავებს. სამწუხარო რეალობაა.

რაფიელ კოპალიანი ის ადამიანი იყო, რომელიც ირგვლივ აკეთილშობილებდა ყველასა და ყველაფერს.

ვუსამძიმრებ მის ოჯახს, ქალბატონ შუქურას, მის შვილს და ასევე ჩემს ძმობილ თამაზს მის გარდაცვალებას.

მართალთა თანა განუსვენოს უფალმა მის უკვდავ სულს. ამინ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნის გადაწყვეტილებამ მამაკაცს სიმდიდრე მოუტანა



ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ კლარკსტონის მკვიდრმა საკუთარ დაბადების დღეზე ლატარიის ბილეთი შეიძინა და ჯეკპოტი მოხსნა.

მამაკაცის თქმით, მან გადაწყვიტა, საკუთარი 71-ე დაბადების დღე აღენიშნა და ლატარიის ბილეთი იყიდა. ამ გადაწყვეტილებამ ამერიკელს სიმდიდრე მოუტანა.

– ბილეთი იმის იმედით ვიყიდე, რომ სერიოზულ მოგებას მივიღებდი, თუმცა სინამდვილეში ასეთ რამეს სერიოზულად არასოდეს აღვიქვამ. მეორე დღეს მაღაზიაში წავედი და ამოვაბეჭდვინე გათამაშებაში ამოსული რიცხვები. როდესაც ვნახე, რომ ხუთივე რიცხვი დაემთხვა, საკუთარ თვალებს ვერ ვუჯერებდი, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ეს ჩემს დაბადების დღეზე მოხდა, – განაცხადა ამერიკელმა.

მამაკაცის მიერ მოგებულმა თანხამ 402 ათასი დოლარი შეადგინა, რომელსაც ის ოჯახის საჭიროებებს მოახმარს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ნავსადგური, ბალნეოლოგიური კურორტი ბულგარეთში; 2. კარნავალის დროს გათამაშებული მომენტალური ლატარია; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. საჭმელი სოკო; 5. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 7. მდინარე ფლორენციაში; 11. ჭაობის ნაპირებთან ბინადარი ბუ; 13. დაბალი რანგის დიპლომატი; 15. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 16. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. იორდანიის დედაქალაქი; 19. ცალკეული სცენებისა და ნომრებისგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა.

**თარაზულად:** 6. დიდი ფორმატის მდიდრული, უხვად დასურათებული ბეჭდვითი გამოცემა; 8. სარეკლამო ლოზუნგი; 9. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 10. ლაპარაკში, ქცევაში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 12. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 14. ერბოში ჩახრაკული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. ავარიის შედეგად გემის ტვირთის ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 20. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 21. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 23. სასტუმრო თბილისში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*